ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაშია შტუტგარტში?

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 თებერვალი პარასკევი 2014

№024(14 245) ფასი 80 თეთრი

## შვაბები ქართველ მცველს უთვალთვალებენ



2

# სოჭს ჩვენც შევუერთდით




თენგიზ გაჩეჩილაძე სოჭიდან

10

# 15 15 12



16



79:75 - ასეთი ანგარიშით დაამარცხა **ვიქტორ სანიკიძისა** და **გიორგი შერმადინის** „სარაგოსამ" მალაგის „უნიკახა" მისსავე მოედანზე. ეს გახლდათ ესპანეთის თასის მეოთხედფინალური შეხვედრა. ნახევარფინალში სარაგოსელები მადრიდის „რეალს" დაუპირისპირდებიან (შაბათს).

„უნიკახასთან" გამარჯვებაში ქართველებს ლომის წილი მიუძღვით. შერმადინმა 25 წუთში 15 ქულა, 3 მოხსნა, 1 დაფარება და 1 პასი მოაგროვა, სანიკიძემ - 26 წუთში 12 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება.

# ქართველების გუშინდელი მონაგარი

ქართველები ჰოლანდიაში

# კაშიას შტუტგარტი უთვალთვალებს

## ...მაგრამ ასტონ ვილა? ვიტესის კაპიტანს გული პრემიერლიგისკენ მიუწევს

საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიური „ვიტესის“ მცველმა **გურამ კაშიამ** მომავალი სეზონიდან კარიერა, შესაძლოა, ბუნდესლიგურ „შტუტგარტში“ გააგრძელოს. გერმანული კლუბის მწვრთნელმა **თომას შნაიდერმა** ადგილობრივ პრესასთან საუბრისას რამდენჯერმე თქვა, რომ ზაფხულში მაღალი კლასის მცველის შეძენა აქვს გადაწყვეტილი, თუმცა სასურველი ფეხბურთელის ვინაობა, ცხადია, არ გაუმხელია.

გერმანელებისგან განსხვავებით, იყოჩაღეს ჰოლანდიელმა ჟურნალისტებმა, რომლებმაც „ვიტესის“ ბოლო რამდენიმე მატჩზე დამსწრე „შტუტგარტის“ მზვერავი დააფიქსირეს. შემდეგ გაარკვიეს და აღმოჩნდა, რომ ბოლო დროს არნემელთა მატჩების ლამის მუდმივი სტუმარი ყოფილა სწორედ შნაიდერის კაცი, ვინც ჩვენებურზე ინფორმაციას აგროვებდა.

როგორც გავიგეთ, „ვიტესსა“ და „შტუტგარტს“ შორის კაშიას ტრანსფერზე მოლაპარაკება უკვე დაწყებულია, თუმცა ჯერ მხოლოდ მოთელვის დონეზე, რაიმე კონკრეტული ამ ეტაპზე არ თქმულა. ამის მიზეზი კი, შესაძლოა, ისიც არის, რომ თავად საქართველოს ნაკრების მცველს არ ხიბლავს, თურმე, ბუნდესლიგაში გადასვლის პერსპექტივა და მოსალოდნელი ტრანსფერის მიმართ, ცოტა არ იყოს, გულგრილადაა განწყობილი.

„ვიტესის“ კაპიტანი შინაურ წრეში ამბობს, რომ პრემიერლიგაში სურს კარიერის გაგრძელება. მისი შეძენის მსურველი კი თურმე იქაც მოიძებნება - ბირმინგემის „ასტონ ვილა“. თუმცა, „შტუტგარტისგან“ განსხვავებით, ინგლისელებს არნემელებისთვის კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მიუმართავთ. ისე, კაშიას სატრანსფერო ფასის ასაწევად, შესაძლოა, მის მიმართ ინტერესი „ვიტესთან“ დამეგობრებულმა „ჩელსიმაც“ გამოიჩინოს და სხვა კლუბებს მადა გაუღვივოს. რა გასაკვირია და, „ჩელსი“ თუ ფეხბურთელს მოინდომებს, ამ ფეხბურთელის მიმართ ინტერესი ერთიორად იზრდება...

მოკლედ, ვნახოთ... საქმეს ისეთი პირი უჩანს, მომავალ სეზონში „ვიტესში“ მხოლოდ ერთი ქართველი - **ვაკო ყაზაიშვილი** გვეყოლება, ოღონდ, თუ მანამდე რომელიმე ქართველის დამატება არ ისურვეს.

როგორც ხედავთ, კაშიას რამდენიმე ვარიანტი აქვს, ხოლო **გიორგი ჭანტურია** ამ დღეებში, სავარაუდოდ, ერთ-ერთ იტალიურ კლუბთან გააფორმებს წინასწარ კონტრაქტს. თუმცა იმის გამო, რომ იტალიაში სატრანსფერო ფანჯარა დახურულია, ზაფხულამდე იმ ქვეყანაში ითამაშებს, სადაც ტრანსფერები ჯერ კიდევ ნებადართულია. ჰოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იტალიამდე ჭანტურია რუსეთში ან უკრაინაში მოძებნის კლუბს.


შესაძლოა, გურამ კაშიამ მომავალი სეზონიდან ვიტესში აღარ ითამაშოს

**კობა ინასარიძე**

დინამო

# ჩაშლილი მატჩი და ნავსიანი შეკრება

თურქულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა: **მალხაზ ჟვანიას** გუნდის მეტოქე ამჯერად ოდესის „ჩერნომორეცი“ იყო. „ჩერნომორეცს“ პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ უკრაინის ჩემპიონატში V ადგილი უკავია, თუმცა მეორე-მესამე ადგილებზე მყოფ კიევის „დინამოსა“ და „მეტალისტს“ თითო-თითო ქულით ჩამორჩება, მეოთხე ადგილზე მყოფ „დნიპროს“ კი - მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით. ამას გარდა, ოდესელთა გუნდმა წარმატებით დასძლია ევროპალიგის ჯგუფური ეტაპი და 1/16 ფინალში ფრანგულ „ლიონს“ დაუპირისპირდება.

„ჩერნომორეცს“ უკვე მეოთხე სეზონია **რომან გრიგორჩუკი** წვრთნის, გუნდში მრავლად არიან ლეგიონერები, რომელთა შორისაც ყველაზე ცნობილი კოტდივუარელი თავდამსხმელი **ფრანკ ჯა ჯეჯე** გახლავთ - ამ 27 წლის შემტევს კარიერის განმავლობაში საფრანგეთის პირველი და მეორე დივიზიონის არაერთ გუნდში („პსჟ“, „გრენობლი“, „სტრასბური“, „ვანი“, „არლი“, „ნიცა“) უასპარეზია.

„ჩერნომორეცის“ ლეგიონერთა გეოგრაფია სულ ახლახან კიდევ გაიზარდა: სწორედ ამ კლუბში გააგრძელებს კარიერას საქართველოს ნაკრების 21 წლის შემტევი ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი**! ჰოდა, ბედის ირონიით, „ჩერნომორეცი“-„დინამოს“ საკონტროლო მატჩის 62-ე წუთზე, სწორედ ოქრიაშვილის შეცვლის მერე... ჩაიშალა კიდეც ეს სპარინგი! მოკლედ, მართლაც დანავსული უცხოური შეკრება გამოუვიდა „დინამოს“: პოლონურ „პოდბესკიძიესთან“ პირველ საკონტროლო მატჩში ტრავმები მიიღეს და შეხვედრის ნაადრევად დატოვებამ მოუწიათ **ოთარ კაკაბაძეს, დავით ხურცილავასა** და **გიორგი მერებაშვილს.**

ამის მერე იყო მორიგი საკონტროლო მატჩი ხორვატულ „ჰაიდუკთან“, სადაც ტრავმების გამო მოედანი გუნდის კაპიტანმა **გიორგი ლორიამ** და ცენტრფორვარდმა **ირაკლი მოდებაძემ** დატოვეს. ასეთი საკადრო პრობლემებიდან გამომდინარე, არც ის გაგვკვირვებია, როცა „დინამო“ მომდევნო სპარინგში დამარცხდა ჩეხურ „მლადა ბოლესლავთან“...

და აი, მორიგი საკონტროლო მატჩის დროც დადგა და ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ამ თურქულ შეკრებაზე „დინამო“ პირველ გამარჯვებას მოიპოვებდა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 62-ე წუთზე მატჩი ჩაიშალა! თურმე, ნუ იტყვით და, უკრაინული გუნდის ქართველი ლეგიონერის, **თორნიკე ოქრიაშვილის** ნაცვლად მოედანზე „ჩერნომორეცის“... ერთ-ერთი მწვრთნელი **სტეფან მატვეევი** გამოსულა! „დინამოს“ მიმართ გამოჩენილი ასეთი უპატივცემულობის გამო, დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა **მალხაზ ჟვანიამ** პროტესტის ნიშნად, თავისი გუნდი მოედნიდან გაიყვანა და, ჩვენი აზრით, სწორი გადაწყვეტილებაც მიიღო!

საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გუშინ საინტერესო კომენტარიც ამოვიკითხეთ, რომელიც „დინამოს“ პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** ამ სპარინგ-მატჩის ორგანიზატორს, წარსულში ცნობილ თურქ ფეხბურთელს, წლების განმავლობაში „ანთალიასპორის“ კაპიტანსა და დღესდღეობით „ფანატიკ ტურის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს **ქადირ არიქანს** ჩამოართვა:

*„მატჩი ნორმალურად მიმდინარეობდა, თუმცა, შეხვედრის დასრულებამდე 20-25 წუთით ადრე, როცა ანგარიში 1:0 იყო „დინამოს“ სასარგებლოდ, „ჩერნომორეცის“ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილების შემდეგ, მოქმედი ფეხბურთელის ნაცვლად მოედანზე სათამაშოდ ერთ-ერთი მწვრთნელი გამოვიდა. ეს ფაქტი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის მხრიდან სამართლიანად შეფასდა, როგორც მეტოქის მიმართ უპატივცემულობის გამოხატულება. „დინამო“, რომელსაც ასეთი ტრადიცია, სახელი და ისტორია აქვს, ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებს; „ჩერნომორეცს“ კი, რომელიც უკრაინის ჩემპიონატში და ევროპის ლიგაში გამოდის, ასეთი საქციელი არ ეკადრება. „ჩერნომორეცის“ მხრიდან იმის მომიზეზება, რომ სხვა ფეხბურთელი არ ჰყავდათ, არასერიოზულია; ხოლო კიდევ ერთი შეთავაზება, რომ... „დინამოს“ ფეხბურთელი დაემატებინათ, საერთოდ, ცინიზმადაც შესაძლოა შეფასდეს. ამ სპარინგ-შეხვედრას ფეხბურთის ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტებიც ესწრებოდნენ, რომელთათვისაც „დინამოს“ გადაწყვეტილება სავსებით გასაგები და მისაღები იყო. როგორც ჩემთვის ცნობილია, „ჩერნომორეცის“ პრეზიდენტი მომხდარით შეწუხებულია და ბოდიშს უხდის დინამოელებს“.*

ახლა კი მოკლედ, იმ დაუმთავრებელ სპარინგ-მატჩზეც, რომელშიც „დინამომ“ კვლავაც არაოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზა. წინა სამი საკონტროლო შეხვედრის მსგავსად, მალხაზ ჟვანიამ თავისი გუნდი კვლავაც 4-3-3 ტაქტიკური განლაგებით ათამაშა: კარს **ნიკა დაუშვილი** იცავდა, დაცვის მარჯვენა ფლანგზე (ისევე როგორც „ჰაიდუკთან“ და „მლადა ბოლესლავთან“ შეხვედრაში) **გიორგი პაპავა** მოქმედებდა, მარცხნივ - გუნდის კაპიტანი, **დავით კვირკველია**, დაცვის ცენტრში კი **გიორგი გველესიანისა** და **გიორგი რეხვიაშვილის** „დუეტი“.

ნახევარდაცვაში **ირაკლი ძარიასთან** ერთად გუნდის ახალწვეულები **მათე ცინცაძე** და **გიორგი ჯანელიძე** მოქმედებდნენ, შეტევაში მარჯვნიდან **ჩისკო** ირჯებოდა, მარცხნიდან - ტრავმამოშუშებული **ირაკლი მოდებაძე**, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი - **პატრიკ ვუო.** შესვენების შემდეგ „დინამოში“ ერთი ცვლილება მოხდა: 46-ე წუთიდან თამაშში ჩაერთო გიორგი ხიდეშელი, რომელმაც გიორგი რეხვიაშვილი შეცვალა.

ამ დაუმთავრებელი მატჩის ერთადერთი გოლი კი 54-ე წუთზე გავიდა, როცა ჯანელიძესა და ჩისკოს წამოწყებული კომბინაცია ირაკლი ძარიას ზუსტი დარტყმით დამთავრდა.

ნესით, „დინამოს“ მხოლოდ ერთი სპარინგილა უნდა ჩაეტარებინა თურქეთში, მაგრამ გუშინდელმა ჩაშლილმა შეხვედრამ ჩვენი გუნდის მზადების პროცესში გარკვეული კორექტივები შეიტანა. ანუ, იმის გარდა, რომ 10 თებერვალს უზბეკეთის გუნდს, ფერგანის „ნეფთჩის“ უნდა წაესპარინგოს, სამშობლოში გამომგზავრებამდე „დინამო“, სავარაუდოდ, კიდევ ერთი საკონტროლო მატჩსაც ჩაატარებს.


დინამო-ჩერნომორეცი. უტევს დინამო. მარჯვნივ №7 ოდესელთა ახალწვეული თორნიკე ოქრიაშვილი

**გია ტუხაშვილი**

მეტალურგი


გიორგი ჩირგაძე

# მარცხი თურქმენებთან

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა რუსთავის „მეტალურგმა“ გუშინ მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. რუსეთის პირველი ლიგის „გაზოვიკთან“ გამარჯვების (1:0) შემდეგ **ვარლამ კილასონიას** გუნდის მეტოქე ამჯერად თურქმენეთის ეროვნული ნაკრები იყო.

როგორც „მეტალურგის“ პრესსამსახურიდან გვაცნობეს, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში, ტერიტორიულ უპირატესობას რუსთაველი გუნდი ფლობდა. **გიორგი ჩირგაძეს, ბესიკ ჩიმაკაძესა და გიორგი ქავთარაძეს** თითქმის 100-პროცენტიანი მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ სამივე შემთხვევაში ჩინებულად ითამაშა თურქმენეთის ნაკრების მეკარემ. ბოლო სამ წუთში კი თურქმენეთის ნაკრებმა ორი გოლის გატანა მოახერხა და 2:0 გაიმარჯვა.

„მეტალურგმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **სეფიაშვილი - სეთურიძე, ვ. კილასონია, მახვილაძე, დ. საჯაია - დობროვოლსკი, ქავთარაძე - კაკაშვილი, მიქაბერიძე, ჩირგაძე - ჩიმაკაძე.**

ეს შემადგენლობა მოედანზე 70 წუთის განმავლობაში იყო, ბოლო 20 წუთი კი „მეტალურგი“ ასე გამოიყურებოდა: **ბედიაშვილი, სეთურიძე, დ. ლომაია, ცნობილაძე, თ. კაკულია, ტვილდიანი, გ. კილასონია, ექვთიმიშვილი, ხაბელაშვილი, ი. გოგინაშვილი, ბ. ოქროპირიძე.**

ტრავმების გამო ამ სპარინგ-შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ „მეტალურგის“ ახალწვეულებს **მამუკა ტორონჯაძესა და მერაბ გიგაურს.**

მომდევნო საკონტროლო მატჩს „მეტალურგი“ 9 თებერვალს ჩაატარებს რუმინულ „ტირგუ მურეშთან“.

**გია ტუხაშვილი**

სიონი

# დავიწყებული მარცხი და სოლიდური სპარინგები

პირველი ეტაპის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობა „სიონის" წარმატებული ასპარეზობა იყო: ბოლნისელთა გუნდი ზამთრის პაუზას IV ადგილზე შეხვდა და ზედა ექვსეულში მოხვედრის ჩინებულ შანსსაც ინარჩუნებს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ პირველი ექვსეულის კანდიდატთაგან ყველაზე რთული კალენდარი სწორედ „სიონს" აქვს: ბოლნისელებს დარჩენილ ოთხ ტურში თბილისის „დინამოსთან", „ტორპედოსთან", „მეტალურგსა" და „ზესტაფონთან" მოუწევთ დაპირისპირება.

აქვე, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ შარშანდელის მსგავსად, „სიონმა" ამჯერადაც შეძლო თასის მეოთხედფინალში გასვლა და 2014 წლის პირველ ოფიციალურ შეხვედრას (22 თებერვალს) სწორედ თასზე ჩაატარებს „ჩიხურასთან". მოკლედ, „სიონს" უახლოესი თვე-თვენახევრის განმავლობაში სერიოზული მატჩები ელოდა და სწორედ ამას ემსახურება კიდეც გუნდის მზადებაც, რომელიც ბოლნისელებმა 13 იანვრიდან თბილისში დაიწყეს, ხოლო 1 თებერვლიდან კი თურქეთში გრძელდება.

უცხოურ შეკრებაზე წასვლამდე „სიონმა" ერთი საკონტროლო მატჩი ჩაატარა თბილისში და ცხინვალის „სპარტაკთან" 1:5 დამარცხდა. სხვათა შორის, ეს იყო „სიონის" პირველი წაგება უკანასკნელი... სამი თვის განმავლობაში! გასული წლის ოქტომბრის ბოლო იყო, „სიონის" მთავარი მწვრთნელის ფუნქციები კლუბის გენერალურმა დირექტორმა, ახლო წარსულში თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ლადო ბურდულმა** რომ შეითავსა და ახალ ამპლუაში თავი ჩინებულადაც წარმოაჩინა.

შეგახსენებთ, რომ ლადო ბურდულის ხელმძღვანელობით „სიონმა" ჩემპიონატსა თუ თასზე 9 წაუგებელი მატჩი ჩაატარა და ერთ-ერთ აუტსაიდერად მიჩნეული გუნდიც პირველი ეტაპის ფინიშს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მეოთხე ადგილზე შეხვდა.

...ბოლო სამი სეზონი „სიონის" უმთავრესი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო, ახლა კი, როგორც ხედავთ, გუნდს აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები აქვს; თუმცა, ამ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში „სიონში" სხვა ტენდენციაც შეიცვალა: ბოლო სეზონებში ხომ გუნდის შემადგენლობა, ფაქტობრივად, ყოველ ნახევარ წელიწადში რადიკალურად იცვლებოდა.

ახლა კი, პირველ ეტაპთან შედარებით, მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებია: გუნდი დატოვეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა **არჩილ ტვილდიანმა** და **ლაშა პარუნაშვილმა**, რომლებიც თბილისის „დინამოდან" იჯარით თამაშობდნენ „სიონში"; აი, რაც შეეხება მატებას, მეორე ეტაპიდან ბოლნისურ კლუბში იასპარეზებენ გამოცდილი და ტიტულიანი ფეხბურთელები, 32 წლის მარცხენა მცველი **ილია კანდელაკი** და 32 წლის შემტევი **გიორგი ადამია** (ორივე - „ზესტაფონიდან").

„სიონში" კიდევ ერთი სიახლეა: ღვაწლმოსილი, ამაგდარი და ფეხბურთში ათასი რამის მნახველი ჩვენი უფროსი კოლეგის, **ჯემალ ჭიპაშვილის** ნაცვლად კლუბის პრესატაშედ **ცირა მღვდელაძე** იმუშავებს. სწორედ ახალი პრესატაშისგან შევიტყვეთ თურქულ შეკრებაზე გამგზავრებული „სიონის" ფეხბურთელთა სია:

მეკარე - **მირზა მერლანი;** მცველები - **რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე, დავით სვანიძე, დავით იმედაშვილი, დაჩი ფოფხაძე, ლაშა თოთაძე, ილია კანდელაკი;** ნახევარმცველები - **ალექსანდრე გოგობერიშვილი, თორნიკე აფციაური, ირაკლი სამხარაძე, გიორგი კახელიშვილი, გიორგი ბიბილეიშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, ზვიად ლობჯანიძე, ზაზა მამასახლისი;** თავდამსხმელები - **ლადო ახალაია, კოკა მიკუჩაძე, ჯაბა უგულავა, გიორგი ადამია.**

შეამჩნევდით, „სიონმა" თურქულ შეკრებაზე მხოლოდ ერთი მეკარე (მირზა მერლანი) წაიყვანა. რაც შეეხება **ზურაბ ბათიაშვილს** (რომელსაც 34 წელი გუშინ შეუსრულდა), ბოლნისური კლუბის კიდევ ერთ გამოცდილ მეკარე თურქეთში გამგზავრებამდე ორი დღით ადრე სერიოზული ტრამვა მიიღო და დროის სიმცირის გამო, მისი ჩანაცვლება სხვა მეკარით ველარ მოხერხდა. ეს ინფორმაცია კი „სიონის" დირექტორმა **ნუგზარ ლომთაძემ** მოგვაწოდა.

..."სიონი" ანთალიაში, ქალაქ „ბელეკში" დაბინავდა და, წინდაწინ უნდა ითქვას, რომ ერთობ სერიოზული სპარინგ-პარტნიორებიც შეარჩია. ლადო ბურდულის გუნდმა პირველი მატჩი პავლოდარის „ირტიშთან" ჩაატარა და 1:4 დამარცხდა. „ირტიშმა" გასული წლის ნოემბერში ყაზახეთის ჩემპიონატი IV ადგილზე დაასრულა.



სიონის მთავარი მწვრთნელი ლადო ბურდული

„ირტიშის" შემადგენლობაში რამდენიმე გამოცდილი ლეგიონერი ასპარეზობს, მათ შორის ყველაზე ცნობადი სახეები სერბი **პრედრაგ გოვედარიცა** და ბელარუსის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 40 წლის **ალექსანდრ კულჩიი** გახლავან. „ირტიშთან" მატჩში „სიონის" ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო:

**მერლანი - უგრეხელიძე, ქემოკლიძე, თოთაძე, იმედაშვილი - ცხადაია, განუგრავა - ბიბილეიშვილი, მიკუჩაძე, უგულავა - ახალაია.** მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **აბრამიძე, სვანიძე, ფოფხაძე, კანდელაკი, სამხარაძე, აფციაური, კახელიშვილი, გოგობერიშვილი, ლობჯანიძე, ადამია, მამასახლისი.** ბოლნისელთაგან ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის მიწურულს **გიორგი განუგრავამ** გაიტანა.

„სიონი" ბელეკში კიდევ სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს: ლადო ბურდულის გუნდი დღეს ბელარუსის უძლიერეს გუნდს „ბატეს" დაუპირისპირდება, 10 თებერვალს - უნგრეთის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულიან კლუბს, ბუდაპეშტის მტკ-ს, ხოლო 12 თებერვალს - უკრაინულ „ვორსკლას".

**გია ტუხაშვილი**

გურია

# უკრაინელმა ლანჩხუთში გადაინაცვლა



ვიქტორ სტანენკო გურიაში ისინჯება

„გურია" დაკარგული დროის სწრაფად ანაზღაურებას ცდილობს. გუშინ ლანჩხუთელები ბათუმს ესტუმრნენ და დაგვიანებით დაწყებულ მოსამზადებელ ეტაპზე მეორე ამხანაგური მატჩი პირველლიგელ „ადელთან" ჩაატარეს - 1:1. ორივე გოლი თამაშის პირველ ნახევარში გავიდა. სტარტზე მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ მალევე წონასწორობა „გურიას" ახალწვეულმა **გიორგი გაგნიძემ** აღადგინა.

გურია: **ბობლიაშვილი, ჩასემი, ბერიანიძე, ნ. კილაძე, ვ. ხორგუაშვილი, ჭეიშვილი, ძამსაშვილი, ბააკაშვილი, ი. კილაძე, პ. ხორგუაშვილი, გაგნიძე;** შეცვლაზე შევიდნენ: **გოგუაძე, ბელქანია, ინგოროყვა, ბენჟამენი, ჟლენტი, გაჩეჩილაძე, ნ. ნარიაშვილი, სტანენკო.**

ლანჩხუთელები უკრაინელ ვიქტორ **სტანენკოს** აკვირდებიან. მან სეზონისთვის მზადება ბათუმის „დინამოში" დაიწყო. მაგრამ ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** 22 წლის ტანმაღალი (192 სმ) შემტევი ნახევარმცველი (რომელსაც უკრაინის მეორე ლიგის ხმელნიცკის „დინამოსა" და დუშანბეს „ცსკა-პამირში" უთამაშია) არ დაიტოვა.

„გურია" მორიგ სპარინგ-მატჩს, სავარაუდოდ, 9 თებერვალს გამართავს. ლანჩხუთელები ქუთაისის „ტორპედოს" შეხვდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

სპარტაკი

# სერბებმა ერთადერთი შანსი გამოიყენეს

ცხინვალის „სპარტაკი" თურქეთში მოსამზადებელ შეკრებას აგრძელებს. რუმინეთის უმაღლესი ლიგის აუტსაიდერ ბრაშოვის „კორონასთან" მარცხის (0:1) შემდეგ, ცხინვალელები სერბულ „რადნიჩკის" (კრაგუევაცი) გაეჯიბრნენ, რომელიც სერბეთის 16-გუნდიან სუპერლიგაში მე-12 ადგილზეა.

მატჩი საინტერესოდ წარიმართა. „სპარტაკის" პრესსამსახურის ინფორმაციით, **კახი კაჭარავას** შეგირდებმა მეტოქე დაჯაბნეს, ოთხი რეალური საგოლე მომენტიც (ორ-ორი ასეთი შანსი ჰქონდათ **ირაკლი ეხვაიასა** და **თორნიკე თუხარელს**) შექმნეს, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში მოიკოჭლებდნენ. მეტოქემ კი ერთადერთი რეალური შანსი გოლად აქცია: მე-16 წუთზე **რადოვან კრივოკაპიჩის** კუთხურს ზუსტი თავურით გამოეხმაურა **ვლადიმირ ბუბანია** - 0:1.

„სპარტაკი" სერბებს ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდა: **ნადირაძე, ჭაფოძე, კაკუბავა, მგელაძე, იოსელიანი, შონია (კაპ), პარუნაშვილი, თექთურმანიძე, თუხარელი, ჩაფიძე, ეხვაია.** შეცვლაზე შევიდნენ: **ცერცვაძე, ქურდაძე, კ. ხიზანეიშვილი, მაისაშვილი, გაგნიძე, მეტრეველი, მაქაცარია, მოსაშვილი, ბურძენაძე, კემუხტაშვილი.**

სპარტაკის პრესსამსახური



თორნიკე თუხარელი

კონტაქტები

# ლივერპულმა საბურთალოს კაპიტანი მიიწვია

პირველი ლიგის B ზონის ბინადარმა „საბურთალომ" (სადაც საქართველოს ასაკობრივი ნაკრების ბევრი წევრია) თურქულ შეკრებაზე პირველი სპარინგი ბულგარული პრემიერლიგის მეექვსეადგილოსან „ჩერნო მორესთან" გამართა.

პირველი ტაიმის შემდეგ „საბურთალო" ორბურთიანი სხვაობით (0:2) აგებდა. მეორე ნახევარში ანგარიში **გურამ გოშთელიანმა** შეამცირა, რამდენიმე წუთში კი **ლუკა ბლიაძემ** წონასწორობა აღადგინა - 2:2. თუმცა მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე „ჩერნო მორემ" პენალტი გამოიყენა და 3:2 გაიმარჯვა.

საბურთალო: **გოშაძე, ბეროშვილი, მარგველაშვილი, ტაბიძე, ნადარაია, მამუჩიშვილი, ხარაიშვილი, ბიძინაშვილი, გოცირიძე, ნივილაშვილი, ჩაბრაძე.** შეცვლაზე შევიდნენ: **მამუჩაშვილი, მენთეშაშვილი, ბარამიძე, ჩომახიძე, თევზაძე, ბლიაძე, წოწონავა, გოშთელიანი, ხორხელი.**

მომდევნო შეხვედრას „საბურთალო" 8 თებერვალს, ასევე ბულგარეთის უმაღლესლიგელ „ბეროესთან" გამართავს.

ამასობაში, კლუბის პრეზიდენტი **ტარიელ ხეჩიკაშვილი** და გენერალური დირექტორი **კახა ჭუმბურიძე** ესპანეთში იმყოფებოდნენ.

„ესპანეთში საქართველოს ელჩს, ზურაბ პოლოლიკაშვილს იქაურ კლუბებთან მშვენიერი ურთიერთობები აქვს და მისი დამსახურებაა, მადრიდის „რეალის" სკაუტსა და „ესპანიოლის" პრეზიდენტს რომ შევხვდით. მომავალში ესპანურ კლუბებთან ურთიერთობები აუცილებლად გაღრმავდება. დავგეგმეთ გაცვლითი პროგრამები და ასე შემდეგ. შესაძლოა, ტურნირებზე ჩვენ ვესტუმროთ, ან მადრიდის „ატლეტიკოს" მსგავსად, ისინი მოვიწვიოთ. მოკლედ, ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, რაც „საბურთალოსა" და ქართულ ფეხბურთს აუცილებლად წაადგება", - ამბობს ჭუმბურიძე.



ჯიმი ტაბიძე ლივერპულში სტაჟირებაზე წავა

დეკემბერში ვწერდით, რომ თბილისში ჩატარებული „სალერის თასის" შემდეგ, „საბურთალოს" სამი ფეხბურეთელით „ლივერპული" და მადრიდის „ატლეტიკო" დაინტერესდნენ. ინგლისელთა სკაუტმა **დავიდ ვისკაინომ** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტან **ჯიმი ტაბიძეს** დაადგა თვალი, „ატლეტიკოს" მწვრთნელებს კი **გიორგი ხარაიშვილი** და **გიორგი თევზაძე** მოეწონათ.

ჭუმბურიძეს ვკითხეთ, თუ რამდენად რეალურია ეს ინტერესი: „ტაბიძე „ლივერპულში" სტაჟირებაზე წავა და არა - გასინჯვაზე. ეს იქნება გაცვლითი პროგრამა. ინგლისელებმა ჩვენს კაპიტანს მიწვევა უკვე გამოუგზავნეს და ახლა ვიზის აღებას დაელოდება. ტაბიძე გუნდთან ერთად თურქეთში ემზადება და ინგლისში ამის შემდეგ გაემგზავრება. მასთან ერთად იქნება „საბურთალოს" სპორტული დირექტორი გია ჭიაბრიშვილი, რომელიც ინგლისური კლუბის მუშაობას გაეცნობა. ცნობილი ევროპული კლუბები ჩვენი სხვა ფეხბურთელებითაც დაინტერესდნენ. ამ ვიზიტებისა და მოლაპარაკებების მიზანია, ჩვენს გაზრდილებს ევროპაში დამკვიდრების შანსი მივცეთ".

დაბოლოს - როგორც ვწერდით, „საბურთალომ" იჯარით აიღო ოლიმპიური მომზადების ცენტრი (გლდანში) და მას **რამაზ შენგელიას** სახელობის კომპლექსი უწოდა (გულშემატკივრები „ამერის" სტადიონად იცნობენ).

„ცენტრალურ მოედანზე ახალი ხელოვნური საფარი დავაგეთ. სტადიონი გუნდების მისაღებად მზადაა. იქვე კიდევ ორი მოედანი მოეწყო - მინი და დამწყები ფეხბურთელებისთვის. განახლდა იოსებიძის ქუჩაზე მდებარე მოედნები და სამი ახალიც დაემატა. შემდგომ ეტაპზე გლდანის სტადიონზე ინდივიდუალური სკამები და განათების სისტემა დამონტაჟდება", - ამბობს ჭუმბურიძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ჩერნომორეცის პრესტიჟული შვიდიანი

20 და 27 თებერვალს, ევროპის ლიგის 1/16 ფინალში ოდესის „ჩერნომორეცი" საფრანგეთის „ლიონს" დაუპირისპირდება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რომან გრიგორჩუკმა რამდენიმე მოთამაშე გაუშვა, რამდენიმეც დაიმატა. ცხადია, ევროპის ლიგაზე გუნდის განაცხადიც შეიცვალა. მასში შეიყვანეს გუნდის ერთ-ერთი ახალწვეული, საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველი თორნიკე ოქრიაშვილი. 21 წლის ქართველს პრესტიჟული 7-ნომრიანი მაისურაც მისცეს.

„ჩერნომორეცის" საკლუბო ტელევიზიამ ოქრიაშვილს ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ჩვენებური საინტერესო ამბებს იხსენებს:

*„მამუკა ფანცულაიასთან ვიზრდებოდი. 14 წლის ვიყავი, როცა „გაგრაში" სინჯებზე მიმიწვიეს და ამიყვანეს. თავიდან დუბლებში ვთამაშობდი. არც 16 და არც 17-წლამდელების ნაკრებებში არასოდეს მითამაშია. როგორც კი „გაგრაში" თამაში დავიწყე, ჩემით მაშინვე დაინტერესდა ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ოთარ გაბელია. პარალელურად, 19-წლამდელებში ვლადიმერ გუცაევმა მიმიწვია. უცხოეთში წასვლაზე*



თორნიკე ოქრიაშვილი

*ვოცნებობდი, მაგრამ ეს მაინც ვერ წარმომედგინა. „გაგრას" პრეზიდენტმა ბესო ჩიხრაძემ მითხრა, რომ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი" დაინტერესდა. ამ გუნდთან ერთად ავსტრიულ შეკრებაზეც ვიმყოფებოდი. სულ „ზენიტში" დაახლოებით 2 თვე ვივარჯიშე. წარმოდგენა არ მქონდა, საიდან შეიტყო „შახტარმა" ჩემს შესახებ. დაგვიკავშირდნენ და, თუ არ მეშლება, ჩემში მილიონი ევრო გადაიხადეს. მაშინ 18 წლის ვიყავი. მერე „ილიჩივეცში" გამანათხოვრეს. სწორედ ამ გუნდიდან მიმიწვიეს ეროვნულ ნაკრებში. მარიუპოლში სამი მწვრთნელი მყავდა, რომელთაგან განსაკუთრებით ნიკოლაი პავლოვს გამოვარჩევ. ის მენდობოდა და მის ხელში მოვუმატე. მაგრამ ერთი-ერთზე დარჩენილს სულ მეკითხებოდა, რატომ მსურდა კლუბის შეცვლა. მეც სულ ვპასუხობდი, გარემოს შეცვლა მსურს-მეთქი. „ჩერნომორეცში" ჯერ კიდევ ზაფხულში მსურდა გადასვლა. მაშინ გუნდი ევროპის ლიგაზე არ თამაშობდა",* - ამბობს ოქრიაშვილი.

ის არ მალავს, რომ მხოლოდ ცნობილ კლუბში მოხვედრა არ აკმაყოფილებს: *„ადრე „შახტარის" მიწვევამ ძალიან გამახარა და დაუფიქრებლად წავედი. მაგრამ დონეცკელები ჩემში ძირითადის მოთამაშეს ვერ ხედავდნენ. მე კი მირჩევნია, ნებისმიერ კლუბში ვითამაშო და არა - ცნობილი კლუბის სათადარიგოთა სკამიდან ვუყურო თამაშს. დონბასელებთან კონტრაქტი 2016 წლამდე მაკავშირებს. დიდი სურვილი მაქვს, „შახტარში" მოვხვდე, მაგრამ ეს ოცნება ჯერ ვერ ავისრულე".*

ოქრიაშვილმა „ჩერნომორეცთან" ადაპტაციაზეც ილაპარაკა: *„გაისა და ანტონოვის გარდა, არავის ვიცნობდი და მეგონა, ახალ გუნდთან ადაპტაცია გამიჭირდებოდა. ვერც წარმოვიდგენდი, მწვრთნელები და ფეხბურთელები ასე კარგად თუ დამხვდებოდნენ. მოკლედ, აქ გადმოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ. ბიჭები ლამაზ და აზრიან ფეხბურთს თამაშობენ. ვიკითხე, ალბათ, „ლიონთან" არ ვითამაშებ-მეთქი. ჯგუფურ ეტაპზე ხომ გუნდი უჩემოდ გავიდა და გამიხარდა, განაცხადში რომ მოვხვდი. „ილიჩივეცში" 10-ჯერ მეტი დატვირთვებია, აქ კი მომზადება მსიამოვნებს, ყველა ვარჯიში ბურთითაა. კარგად მახსოვს, მე და თარგამაძე ოდესაში პირველად რომ ჩამოვედით, ქალაქი და სტადიონი ისე მომეწონა, ვთქვი - აქ სიამოვნებით გადმოვიდოდი-მეთქი. სხვათა შორის, მაშინ „ჩერნომორეცთან" პენალტი გამოვიმუშავე და თავადვე გავიტანე".*

„ჩერნომორეცის" ახალწვეულმა სანაკრებო კარიერაზეც ილაპარაკა: *„საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში პირველად 17 წლისამ ვითამაშე. ჩვენი ცენტრალური ნახევარმცველი დაშავდა და მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ მითხრა - გამოუცდელი ხარ, მაგრამ უნდა ითამაშო, არ შეგეშინდესო. ჯერ ისეთი რა გამიკეთებია, მაგრამ ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი სწორედ ის სადებიუტო შეხვედრა იყო. მალე ეროვნულ ნაკრებში ამიყვანეს, სადაც 10 ოფიციალურ მატჩში ერთი გოლი გავიტანე - ეს ბოლო შესარჩევ ციკლში, ბელარუსთან მოხდა. ის თამაში 1:0 მოვიგეთ. ჩვენი ამოცანა მე-3 ადგილზე გასვლა იყო. მეტოქეები ხომ ესპანეთი და საფრანგეთი იყვნენ. სამწუხაროდ, მე-4 ადგილზე გავედით".*

ოქრიაშვილი ამბობს, რომ უკრაინაში ჩასვლისას რუსულს კარგად ვერ ფლობდა: *„მაშინ რუსულად საშინლად ვლაპარაკობდი. არ ვიცოდი, კაცი „ონ" იყო თუ „ონა", ქალს და კაცს ყველას ერთნაირად მოვიხსენიებდი. ამაზე ყველას ეცინებოდა. საქმე ისაა, რომ რუსული არასოდეს მისწავლია. მაგრამ გავიდა დრო და ბიჭებთან ურთიერთობაში ენაც ავითვისე".*

**მერაბ მამულაშვილი**

# დავით წინასწარმეტყველი

## როგორ ახდა თარგამაძის პროგნოზი

**დავით თარგამაძის** უკრაინული კლუბიდან (მარიუპოლის „ილიჩივეცი") რუსულში (ეკატერინბურგის „ურალი") გადასვლამ მის მიმართ ინტერესი გაზარდა. საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველის ტრანსფერი დონეცკის „შახტარს" ეკუთვნის, 5 თებერვალს კი, როცა თარგამაძესთან დაკავშირებული გარიგება გასაჯაროვდა, დონბასელები რუსეთისა და უკრაინის წამყვანი კლუბების ტურნირის „გაერთიანებული სუპერთასის" ფინალში გავიდნენ. „შახტარს" მთავარ პრიზს მოსკოვის ცსკა ეცილებოდა. „არგუმენტი ი ფაქტიმ" თარგამაძეს, რატომღაც, ამ შეხვედრის პროგნოზი ჰკითხა.

*„არ ვიცი, რა ანგარიშით მორჩება თამაში, მაგრამ ვფიქრობ, „შახტარი" გაიმარჯვებს, რადგან ახლა ეს გუნდი მშვენიერ ფორმაშია. რა თქმა უნდა, ცსკა-ც ძლიერია და მაღალი კლასის მოთამაშეები ჰყავს. ასე რომ, თამაში თანაბარი და საინტერესო იქნება. თამაშს აუცილებლად ვნახავ და „შახტარს" ვუგულშემატკივრებ",* - თქვა თარგამაძემ და მისი პროგნოზი ახდა კიდეც: თამაში მართლაც საინტერესო გამოდგა, „შახტარმა" კი ცსკა 2:1 დაამარცხა.

ქართველს უკრაინულ კლუბთან კონტრაქტი 2017 წელს უმთავრდება, მაგრამ „შახტარში" ერთი ოფიციალური შეხვედრაც არ ჩაუტარებია და ამის გამო სინანულით ამბობს: *„დონეცკელებთან არ ვვარჯიშობ და საწყენია, რომ ამ ტურნირში არ ვმონაწილეობდი. არადა, სასიამოვნო იქნებოდა".*

ეკატერინბურგის „ურალამდე" თარგამაძე მოლაპარაკებას ერთ-ერთ ევროპულ კლუბთან აწარმოებდა, მაგრამ საბოლოოდ, გარიგება არ შედგა და ქართველ ფეხბურთელს რუსეთში გამგზავრებამ მოუწია.

ამ ტრანსფერის შემდეგ რუსულ პრემიერლიგაში ქართველთა რაოდენობა შვიდამდე გაიზარდა: „როსტოვში" **ჯანო ანანიძე** გვყავს, „ანჟიში" - **გია გრიგალავა**, „კრილია სოვეტოვში" - **ალეკო ამისულაშვილი**, ყაზანის „რუბინში" - **საბა კვირკველია** და **ნიკა კაჭარავა**, რომელიც ძირითად გუნდში ახლახანს დააწინაურეს, ახლა კი „ურალს" **ლაშა გვალია** და **დავით თარგამაძე** დაემატებიან.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით თარგამაძე

ქართველები რუსეთში

# ახალი ქართველები ნალჩიკში: ნიკა ჩხაპელია და გიორგი ჯიქია

რუსეთის პირველი დივიზიონის ნალჩიკის „სპარტაკი", რომელიც გაკოტრებას ძლივს გადაურჩა, თურქულ შეკრებაზეა, სადაც პირველი შეხვედრაც გამართა. „სპარტაკი" მოულოდნელად დამარცხდა ბულგარულ „მონტანასთან" - 0:2.

ჩვენთვის მოულოდნელი იყო, რომ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია „ნალჩიკის" არც ერთ ქართველს - არც **დავით სირაძეს** და არც გუჯა **რუხაიას**. არადა, ნალჩიკელთა ოფიციალური საიტი იუწყებოდა, რომ ისინი გუნდთან ერთად გაემგზავრნენ. სამაგიეროდ, ითამაშა 20 წლის **გიორგი ჯიქიამ**, რომელიც ამას წინათ „სკა ენერგიაში" ისინჯებოდა.

„სპარტაკის" ოფიციალური საიტი იტყობინება, რომ კლუბის წევრი გახდა კიდევ ერთი ქართველი, რომელიც უკვე რუსეთის მოქალაქეა - 19 წლის ფორვარდი **ნიკა ჩხაპელია**. ჩხაპელია ბოლოს „კრასნოდარის" სარეზერვო გუნდში თამაშობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# არაბულმა კონტრაქტი გააგრძელა



ბაჩანა არაბული

„საბურთალო" ესპანური სეგუნდა დივიზიონის „ალკორკონთან" **ბაჩანა არაბულის** ნახევარწლიან იჯარაზე 31 აგვისტოს შეთანხმდა, მაგრამ ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართველ თავდამსხმელს შრომის ვიზა მხოლოდ დეკემბერში მისცა. ამ დროისთვის, საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების ყოფილ კაპიტანს იჯარის ვადა დაუსრულდა. თანაც დრო ისე მიილია, 18 წლის ფორვარდს ესპანეთში ერთხელაც არ უთამაშია.

ესპანურ კლუბს არაბულზე უარი მაინც არ უთქვამს, პირიქით - შეთანხმება გაუხანგრძლივა.

*„ესპანეთში ყოფნისას, „ალკორკორნის" ხელმძღვანელებს შევუთანხმდით, რომ ბაჩანას იჯარა ივნისამდე გაგრძელდება",* - გვითხრა „საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ**.

ერთი თვეა, რაც არაბული ესპანეთშია, ქართველი თავდამსხმელი განაცხადში შეიყვანეს და მაგრამ „ალკორკონში" კვლავ არ უთამაშია. ჭუმბურიძის თქმით, არაბულს მუხლი აწუხებდა და ამიტომ ვერ თამაშობდა. წესით, ვარჯიში უკვე უნდა დაიწყოს.

როგორც ევროკავშირის წევრ ესპანეთში, ქართველ მოთამაშეებზე შრომის ვიზას ხანგრძლივი და რთული პროცედურების შემდეგ გასცემენ. მართალია, ქართველების მიწვევით თავს დიდად არსად იკლავენ, მაგრამ იმ ერთეულებს, რომლებითაც ევროპელები დაინტერესდნენ, მსგავსი პრობლემები ექმნებათ.

გამოსავალი არსებობს: გემახსოვრებათ, ერთი ხანობა, უნგრულ „დიორი ეტოში" ბევრი ქართველი ჩაირიცხა, მაგრამ ყველას ვერ ათამაშებდნენ. უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტის გამო, კლუბის პრეზიდენტის ქართველმა მრჩეველმა ლაშა ოდილაძემ ლოზანის სპორტულ სასამართლოში იჩივლა, პროცესი მოიგო და დღეს ამ ქვეყანაში ქართველები ლეგიონერებად აღარ ითვლებიან. მაგრამ ევროკავშირის სხვა ქვეყნებში იგივე ვერ ხერხდება. არადა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ხელშეკრულება ვიზების შეღავათიანი გაცემის თაობაზე ამის საფუძველს იძლევა. დროა, ეს შეთანხმება გამოვიყენოთ, რაც ქართულ ფეხბურთს ძალიან წაადგება და იქნებ, ჩვენი ფეხბურთელები რუსულ-უკრაინულ ორბიტას მოწყდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

# პროსაქმე

## ფეხბურთის ფედერაცია პროფესიონალ მწვრთნელებს გამოუშვებს

მისალოცად აქვს საქმე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას - ახალ არველაძეებს, ცხადაძეებს, გეგუჩაძეებსა და უეფას სამწვრთნელო პროლიცენზიის მიღების მსურველებს სხვა ქვეყნებში სიარული აღარ დასჭირდებათ - უმაღლეს სამწვრთნელო კატეგორიას თბილისშივე მიიღებენ.

პროლიცენზიის პირველი კურსი 27 თებერვალს ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" დაიწყება და 2015 წლის გაზაფხულამდე გასტანს. კურსი სულ 11 ეტაპად ჩატარდება. საბუთების მიღება უკვე დაიწყო და 16 თებერვლამდე გასტანს. სწავლების განმავლობაში მწვრთნელები „ბასაშივე" იცხოვრებენ, სადაც თეორიულის გარდა, პრაქტიკული მეცადინეობაც ჩაუტარდებათ და წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში პრაქტიკისთვისაც გაემგზავრებიან.

პრო-ლიცენზიის პირველი კურსის გასავლელად სულ 15 მწვრთნელი მიიღება. მათ ზურგს უეფას A ლიცენზია და სხვა საჭირო საბუთები უნდა უმაგრებდეთ. პროლიცენზიის ასაღებად, თბილისში, ეტყობა, მწვრთნელები სხვა ქვეყნებიდანაც აპირებენ ჩამოსვლას, თორემ სხვა შემთხვევაში, ფედერაცია პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზიის მსურველთაგან საყველპურო ქართული ენის ცოდნას მაინც არ მოითხოვდა. „სხვა ქვეყნები" კი, ალბათ, მეზობლები - სომხეთი და აზერბაიჯანი იქნებიან.

ისე, საინტერესოა, რომ თავის დროზე სწორედ **შოთა არველაძემ, კახა ცხადაძემ** და **გია გეგუჩაძემ** პროლიცენზიები კიევში მიიღეს. ბარემ იმასაც შეგახსენებთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ამ საქმეს ეროვნული გუნდის ყოფილი თავკაცი **გაიოზ დარსაძე** ხელმძღვანელობს.

**კობა ინასარიძე**



პროლიცენზიის კურსებს გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXIII ტურის წინ

# დიდი რომაული გარჩევა

## მილანი ნეაპოლში, იუვე ვერონაში

**8 თებერვალი**

**ფიორენტინა–ატალანტა 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** გომესი, ტომოვიჩი, ჰეგაზი, აკვილანი, როსი, ამბროზინი - სკალონი, ბელინი, ლივაია.

ბოლო 6 შეხვედრა
3-2-1 | 3-0-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 27 თამაში: +11=11-5, (43-27)**

**უდინეზე–კიევო 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** პინცი, ალანი - ფრეი, რადოვანოვიჩი.
**ტრავმა:** ბრკიჩი - პარედესი, კალელო.

ბოლო 6 შეხვედრა
2-0-4 | 0-3-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 25 თამაში: +9=9-7, (30-27)**

**ნაპოლი–მილანი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბონერა (მილანი).
**ტრავმა:** ცუნიგა, მესტო, რევეიერი - ელ შაარავი, საპატა, სილვესტრი, პოლი.

ბოლო 6 შეხვედრა
2-3-1 | 3-1-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 25 თამაში: +5=11-9, (23-30)**

**9 თებერვალი**

**ტორინო–ბოლონია 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** ჟილე - კონე, მოსკარდელი.
**ტრავმა:** ლარონდო, გაცი - ჩეხი, დელა როკა.

ბოლო 6 შეხვედრა
3-2-1 | 1-3-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 13 თამაში: +4=7-2, (16-16)**

**ვერონა–იუვენტუსი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** დონატი, მაიეტა - კვალიარელა.

ბოლო 6 შეხვედრა
3-0-3 | 5-1-0
ურთიერთშეხვედრები
**სულ 11 თამაში: +1=1-9, (8-16)**

**ლივორნო–ჯენოა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მბაიე (ლივორნო).
**ტრავმა:** სილიგარდი - გამბერინი, დონარუმა, კუჩკა.

ბოლო 6 შეხვედრა
1-1-4 | 2-1-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 9 თამაში: +3=5-1, (10-8)**

**პარმა–კატანია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** პავარინი, ობი - ალვარესი, ფრიზონი.

ბოლო 6 შეხვედრა
4-2-0 | 1-2-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 15 თამაში: +2=6-7, (15-22)**



ვნახოთ, ვისი აჯობებს

**სამპდორია–კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მუსტაფი - დესენა.
**ტრავმა:** პიზანო - იბარბო.

ბოლო 6 შეხვედრა
2-2-2 | 1-2-3
ურთიერთშეხვედრები
**სულ 39 თამაში: +11=14-14, (51-50)**

**ინტერი–სასუოლო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** მენდესი (სასუოლო).
**ტრავმა:** კამბიასო, ალვარესი - ტერანოვა, ალექსე, აჩერბი, მაზუჩი, მანიანელი, გაცოლა.

ბოლო 6 შეხვედრა
1-2-3 | 1-0-5
ურთიერთშეხვედრები
**სულ 1 თამაში: +1=0-0, (7-0)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 22 | 19 | 2 | 1 | 54-16 | 59 |
| 2. რომა | 21 | 15 | 5 | 1 | 45-11 | 50 |
| 3. ნაპოლი | 22 | 13 | 5 | 4 | 44-26 | 44 |
| 4. ფიორენტინა | 22 | 12 | 5 | 5 | 40-23 | 41 |
| 5. ვერონა | 22 | 11 | 2 | 9 | 37-35 | 35 |
| 6. ინტერი | 22 | 8 | 9 | 5 | 39-27 | 33 |
| 7. ტორინო | 22 | 8 | 9 | 5 | 35-28 | 33 |
| 8. პარმა | 21 | 8 | 8 | 5 | 32-27 | 32 |
| 9. ლაციო | 22 | 8 | 7 | 7 | 29-29 | 31 |
| 10. მილანი | 22 | 7 | 8 | 7 | 35-32 | 29 |
| 11. ჯენოა | 22 | 7 | 6 | 9 | 23-28 | 27 |
| 12. ატალანტა | 22 | 8 | 3 | 11 | 24-30 | 27 |
| 13. სამპდორია | 22 | 6 | 7 | 9 | 26-32 | 25 |
| 14. კალიარი | 22 | 5 | 9 | 8 | 21-31 | 24 |
| 15. უდინეზე | 22 | 7 | 2 | 13 | 22-32 | 23 |
| 16. კიევო | 22 | 4 | 6 | 12 | 16-29 | 18 |
| 17. ბოლონია | 22 | 3 | 9 | 10 | 20-38 | 18 |
| 18. ლივორნო | 22 | 4 | 5 | 12 | 22-40 | 17 |
| 19. სასუოლო | 22 | 4 | 5 | 13 | 23-48 | 17 |
| 20. კატანია | 22 | 3 | 6 | 13 | 16-40 | 15 |

**ბომბარდირები:** 14 – როსი (ფიორენტინა); 12 - ბერარდი (სასუოლო); 11 - ტევესი (იუვენტუსი), იმობილე (ტორინო), ვიდალი (იუვენტუსი); 10 - პალასიო (ინტერი), იგუაინი (ნაპოლი), ჩერჩი (ტორინო).

**ამ უქმეებზე კალჩოს მოყვარულებს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცლებათ - სერია A-ს 23-ე ტური ბევრ საინტერესოს გვპირდება და ისლა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოახლოებულ ბატალიებს. მაშ ასე, „სტადიო ოლიმპიკოზე“ რომაული დერბი შედგება, „მილანი“ ნეაპოლში ჩავა, „იუვენტუსი“ კი ლიდერთა შორის მყოფ „ვერონას“ ესტუმრება.**

### რომაული დერბი

დერბი ყოველთვის გამორჩეული მოვლენაა და მით უმეტეს, როდესაც ერთმანეთის პირისპირ რომაული გუნდები არიან. უკვე დიდი ხანია, „რომას“ და „ლაციოს“ დაპირისპირებას იტალიის დროით, 15.00 საათზე ნიშნავენ, დღისით, მზისით, რადგან ასეთ დროს, გულშემატკივართა შორის შეტაკების ალბათობა გაცილებით დაბალია. მოკლედ, რომაულ დერბიზე უსაფრთხოების თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია, თუმცა ეს საქმე სამართალდამცავებს მივანდოთ და ჩვენ გუნდებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

### ლაციოს ბანაკში

მას შემდეგ, რაც „ლაციოს“ **ედუარდო რეია** დაუბრუნდა, მწვრთნელი მუდმივ ძიებაშია - ხან 4-5-1 სქემას იყენებს, ხან 3-5-2-ს და ხანაც 3-4-3-ს. ამჯერად, რეიას არჩევანი სამ შემტევზე გაკეთდება და წინა ხაზზე **მიროსლავ კლოზესთან** ერთად, **ბალდე კეიტას** და **ანტონიო კანდრევას** ვიხილავთ. შესაბამისად, „ბიანკოჩელესტე“ შემტევ, უფრო გახსნილ ფეხბურთს ითამაშებს, რაც უდავოდ მისასალმებელი ამბავია. რეიას სიტყვები ამაში გვარწმუნებს:

*„მეტოქე იდეალურად შეთამაშებული გუნდია, რომლის თითოეული ფეხბურთელი ტექნიკურად კარგად არის აღჭურვილი. ამიტომ, თუ „რომანისტებს“ ბურთის ფლობის საშუალებას მივცემთ, ჩვენ კი საკუთარ ნახევარზე დავიწევთ, აუცილებლად დავისჯებით. მაქსიმალურად აგრესიულად უნდა ვითამაშოთ, ბურთი მეტოქის ნახევარზე გადავიტანოთ და სასურველ მიზანს ასე მივაღწიოთ“.*

„ლაციო“ აღმავლობის გზაზეა, რეიას გუნდი ნომინალური მასპინძელი იქნება და გულშემატკივართა მეტი მხარდაჭერითაც ისარგებლებს.

### რომას ბანაკში

**რუდი გარსია** ტრადიციას არ ულალატებს და გუნდს კვლავ 4-3-3 ტაქტიკით განალაგებს. შეტევაში კლასიკურ სამეულს ვიხილავთ: **ფრანჩესკო ტოტი, ალესანდრო ფლორენცი, ჟერვინიო.** ამჯერად, თადარიგში დარჩებიან **მატია დესტრო** და **ადემ ლიაიჩი**. ოთხშაბათს „ჯალოროსიმ“ ურთულესი მატჩი გადაიტანა თასზე, რაც „ლაციოს“ პლუსად შეგვიძლია მივიჩნიოთ. „ნაპოლისთან“ სათასო პაექრობის შემდეგ, გარსიამ ვრცელი კომენტარი გააკეთა და მოახლოებულ დერბისაც შეეხო:

*„უკან ურთულესი მატჩი მოვიტოვეთ და წინ არანაკლებ დაძაბული პაექრობა გველის. ძალები უნდა აღვიდგინოთ, რათა „ლაციოსთან“ ჯახს მომზადებულნი შევხვდეთ. ჩვენი მთავარი მიზანი ეს არის, სხვა მხრივ, განსაკუთრებულს არაფერს ვგეგმავთ. ქალაქში უკვე იგრძნობა დერბის ატმოსფერო და ეს ფეხბურთელებზეც მოქმედებს. საბრძოლველად ვართ შემართულნი, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს“.*

„რომა“ „იუვენტუსის“ მდევარია, წაფორხილების უფლება არ აქვს და აუცილებლად შეუტევს - გარსიას გუნდს ფრე არაფერში სჭირდება.

### შანსი ნაპოლის

სერია A-ს ბოლო ტურებში „ნაპოლი“ წარუმატებლად ასპარეზობს, რასაც თასის ნახევარფინალში მარცხიც დაემატა. მოკლედ, **რაფაელ ბენიტესის** გუნდს ჩავარდნა აქვს, რომლის დასაძლევადაც ამ უქმეებზე კარგი შანსი ეძლევა. „მილანის“ დამარცხება ნეაპოლელებისთვის დიდი მუხტი და სტიმული იქნება - ამ „მილანის“ ძლევა რომ დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, ყველამ კარგად ვიცით. მოკლედ, სამხრეთელებს ერთი „გემრიელი“ გამარჯვება სჭირდებათ და საამისოდ, შესანიშნავი შანსი აქვთ.

ბენიტესი წინა ხაზზე **გონსალო იგუაინს** გაამწესებს, შუიდან კი მას **დრის მერტენსს, მარეკ ჰამშიკს** და **ხოსე კალეხონს** დაახმარს. მოკლედ, რაფას ექსპერიმენტებისთვის აღარ სცალია და ამჯერად, სასტარტოში იგუაინი-ჰამშიკი იქნებიან და არა **პანდევი-საპატა**. ნეაპოლელებს სკუდეტოზე პრაქტიკულად ჩაქნეული აქვთ ხელი, თუმცა ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოპოვება სჭირდება - ამიტომ, რაფა შეგირდებს მოგებაზე გეშავს და ტიფოზებიც განსაკუთრებულად ემზადებიან. „ლეგა კალჩოს“ მესვეურებმა „მილანის“ ულტრასებს ნეაპოლში ჩასვლისგან თავის შეკავება ურჩიეს, მაგრამ რჩევა ყურად არავინ ილო - „როსონერის“ ტიფოზებიც მობილიზებულნი არიან და ესეც კიდევ ერთი თავსატეხია სამართალდამცავებისთვის. მოკლედ, ამ უქმეებზე კარაბინიერებს სრული მობილიზება მართებთ.

9.02. რომი
ოლიმპიკო
18:00

**ლაციო**

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 | +4=1-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 43 თამაში: +14=13-16, (52-61)**

**რომა**

საავარაუდო შემადგენლობები




დისკვალიფიკაცია: ბილია (ლაციო).
ტრავმა: ალვარო, ედერსონი - ბალცარეტი.

თავად „მილანი“ მოსაგებად ემზადება, რადგან **კლარენს ზეედორფს** ჯერ კიდევ სჯერა, რომ ევროპალიგის საგზურის მოპოვება შესაძლებელია. **მარიო ბალოტელი** ერთადერთი ფორვარდი იქნება, ფლანგებიდან მას **კეისუკე ჰონდა** და **რობინიო** მიეხმარებიან, სიღრმიდან კი **რიკარდო კაკა** შეუტევს. **მიკაელ ესიენი** თადარიგში მოიაზრება, საყრდენ ხაზს კი სავარაუდოდ, **ნაიჯელ დე იონგი** და **რიკარდო მონტოლივო** გაამაგრებენ.

### ლიდერი ვერონაში

რთული მატჩი ელის „იუვენტუსს“, რომელსაც „ვერონასთან“ უწევს სტუმრობა, იქ კი დიდი სტუმართმოყვარეობით ნამდვილად არ გამოირჩევიან. **ანტონიო კონტე** ნაცად სქემას აირჩევს და ნაცად შემადგენლობას დაეყრდნობა, მასპინძელთა მთავარი კოზირი კი კვლავაც მძიმე ფორვარდი **ლუკა ტონია**, რომელსაც ზურგს ახალგაზრდა და რეაქტიული ნახევარმცველები უმაგრებენ - ეს სინთეზი ჯერჯერობით ამართლებს და საინტერესოა, გაამართლებს თუ არა ლიდერთან პაექრობისას. „იუვე“ პირველია სატურნირო ცხრილში და პოზიციის გამტკიცებას შეეცდება - „ვერონას“ მეხუთე ადგილზე უჭირავს თავი, მაგრამ ერთი ფეხის დაცდენა შესაძლოა სამი-ოთხი პოზიციის დაკარგვად დაუჯდეს. ასე რომ, გუნდები თავს არ დაზოგავენ და წესით, კარგი ჯახი უნდა ვიხილოთ.

იტალიის თასი. 1/2 ფინალი

# რა მოხდება სან პაოლოზე?

**რომა–ნაპოლი 3:2**

**გოლები:** 1:0 ჟერვინიო (13), 2:0 სტროტმანი (32), 2:1 დე სანქტისი (47-საკ. კარში), 2:2 მერტენსი (70), 3:2 ჟერვინიო (88).
**რომა (4-3-3):** დე სანქტისი - მაიკონი, კასტანი, ბენატია, ტოროსიდისი - ნაინგოლანი (60. პიანიჩი), სტროტმანი, დე როსი - ტოტი (65. დესტრო), ჟერვინიო, ლიაიჩი (72. ფლორენცი).
**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - მაჯო, ფერნანდესი, ალბიოლი, რევეიერი (25. გულამი) - ინლერი, ფრელო - ინსინიე, კალეხონი, ჰამშიკი (66. მერტენსი) - იგუაინი (85. ბერამი).

**საპასუხო მატჩები**

11 თებერვალი: **ფიორენტინა-უდინეზე**
12 თებერვალი: **ნაპოლი-რომა**

ხუთი გოლი, უამრავი სახიფათო მომენტი, ბრძოლა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე და ზღვა ემოციები - ეს ყველაფერი იტალიის თასის ნახევარფინალურ პაექრობაში, რომელშიც „რომამ“ „ნაპოლის“ პირველი რაუნდი მოუგო, 3:2. ანგარიში დამშვიდების საშუალებას არ იძლევა, წინ მეორე მატჩია, ნეაპოლში - შესაძლოა კიდევ უფრო ცხელი და კიდევ უფრო დაძაბული.

რომაული მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, რაც ორ გოლში აისახა. მე-13 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ფრანჩესკო ტოტიმ** გოლკიპერთან პირისპირ **ჟერვინიო** გაიყვანა, ამ უკანასკნელმა ოსტატურად ჩამოიცილა **პეპე რეინა** და ბურთი დაუცველ კარში შეაგორა. ტაიმის შუაწელს, **კევინ სტროტმანმა** გაიბრწყინა, დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა და ბურთი ცხრიანში „ჩაჭედა“. ჰოლანდიელმა მართლაც ულამაზესი გოლი გაიტანა, რომელიც ნებისმიერ საფეხბურთო მატჩს დაამშვენებდა.

მეორე ტაიმში კი ნეაპოლელებმაც გამოილვიძეს. თამაში ახალი განახლებული იყო, როდესაც **გონსალო იგუაინი** მარცხენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და ჩააწოდა, ბურთზე გამოსულმა **მორგან დე სანქტისმა** კი საკუთარი კარი დალაშქრა. ასეც ხდება, მეკარემ ბურთს უშნოდ დაუხვედრა ხელი და მისთვის ყველაზე არასასურველი მიმართულება მისცა. ამასობაში, **დრის მერტენსი** ჩაერთო თამაშში, რომელმაც მატჩის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე გაქვითა კიდეც ანგარიში - ბელგიელმა თანაგუნდელთან კედელი გაითამაშა, დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

რომაელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გატყდნენ და გამარჯვების გოლის გასატანად დიდი ძალებით წავიდნენ წინ, რამაც გაამართლა - 88-ე წუთზე მასპინძლებმა სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, დასარტყმელ პოზიციაზე ჟერვინიო გაიყვანეს, რომელმაც მეკარისაგან ახლო კუთხე დალაშქრა. კოტ დ'ივუარელი მატჩის გმირი გახდა. გოლების გარდა, მოედანზე კოლოსალური სამუშაო შეასრულა.



ჟერვინიომ დუბლი შეასრულა

ის, რაც „სტადიო ოლიმპიკოს“ ტრიბუნებზე ხდებოდა, სიტყვებით რთული გადმოსაცემია, მაგრამ რა მოხდება „სტადიო სან პაოლოზე“? - აი, ეს არის საკითხავი.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები


რეალი-ატლეტიკო

# ვემზადოთ მორიგი ელ კლასიკოსთვის

## ავტოგოლების წვიმა

**რეალი-ატლეტიკო 3:0**

**გოლები:** 1:0 ე. ინსუა (17-საკ. კარში), 2:0 ხესე როდრიგესი (57), 3:0 მირანდა (73-საკ. კარში)

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ჩაბი ალონსო, მოდრიჩი, დი მარია (81. ილიარამენდი) - ხესე როდრიგესი (84. ისკო), ბენზემა (73. მორატა), კრიშტიანო რონალდო

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, გოდინი, მირანდა, ე. ინსუა - კოკე, გაბი - დიეგო (46. კ. როდრიგესი), რაულ გარსია (70. ხ. სოსა), არდა თურანი (61. ადრიანი) - დიეგო კოშტა

**ბარსელონა-სოსიედადი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბუსკეტსი (44), 2:0 სუბიკარაი (60-საკ. კარში)

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა - ბუსკეტსი, ჩავი, ფაბრეგასი (86. ტელიო) - ა. სანჩესი (74. ინიესტა), მესი, პედრო

**სოსიედადი (5-3-2):** სუბიკარაი - ხოსება სალდუა, ანსოტეგი, მ. გონსალესი (20. კ. მარტინესი), ი. მარტინესი, ხოსე ანხელი - ელუსტონდო, იონ გასტანიაგა, სურუტუსა - ველა (73. კანალესი), გრიზმანი (83. სეფეროვიჩი)

გაძევება: ი. მარტინესი (44. სოსიედადი)

**ესპანეთის სამეფო თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები ისეთი შედეგებით დასრულდა, სასწაული უნდა მოხდეს, ფინალში მორიგი „ელ კლასიკო“ რომ ვერ ვიხილოთ...**

მადრიდული დერბის გმირი **ანხელ დი მარია** გახდა, რომელიც **კარლო ანჩელოტიმ** ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე გაამწესა. მიუხედავად ამისა, არგენტინელმა შესანიშნავად ითამაშა და სამივე გოლში საკუთარი წვლილი შეიტანა. პირველ ტაიმში სწორედ მისი გადაცემის მერე გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე **პეპე**, რომლის დარტყმის შემდეგაც ბურთი **ინსუას** მოხვდა და **კურტუას** კარში შევარდა. 57-ე წუთზე კი მატჩის ყველაზე ლამაზი ეპიზოდი ვიხილეთ - დი მარიამ **ხესეს** გენიალური გადაცემა გაუკეთა და მეკარესთან პირისპირ დატოვა. ახალგაზრდა მოთამაშემ ასევე საკმაოდ ჭკვიანურად ითამაშა, ბურთს ფეხი წაჰკრა და ანგარიში 2:0 გახადა. მოგვიანებით კი დი მარიამ შორიდან დაარტყა, ბურთი **მირანდას** მოხვდა და კურტუა კვლავ უსაქმოდ დარჩა - 3:0.

ორი ავტოგოლის და ძალიან ლამაზი გოლის გარდა, უამრავი ჯარიმა, უხეშობა, პროვოკაცია და არაერთი ბინძური ილეთი ვიხილეთ. მოკლედ, მადრიდულმა დერბიმ მოლოდინი გაამართლა - შეხვედრა მართლაც კარგი სანახავი იყო. სამწუხარო კი ის არის, რომ ამ წყვილში უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია და საპასუხო შეხვედრას დიდი აზრი აღარ აქვს, მით უმეტეს, რომ „ატლეტიკოს“ **დიეგო კოშტა** არ ეყოლება, რომელმაც ყვითელი ბარათის მიღების გამო ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიწერა.

აქვე, აღვნიშნოთ ისიც, რომ თამაშის დღეს **კრიშტიანო რონალდოს** დაბადების დღე იყო - პორტუგალიელი 29 წლის გახდა, მაგრამ იუბილე გოლით ვერ აღნიშნა. სამაგიეროდ, „რეალის“ ლიდერს დღეობა ორიგინალურად მიულოცა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ და „ბილბაოსთან“ გაძევების გამო ესპანეთის ჩემპიონატში სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

ავტოგოლი „ნოუ კამპზეც“ ვიხილეთ, თანაც ისეთი, რომ წლის ყველაზე კურიოზული გოლის ერთ-ერთი კანდიდატი უნდა იყოს. შეხვედრის მე-60 წუთზე, **სესკ ფაბრეგასის** საოცარი გადაცემის შემდეგ, **ალექსის სანჩესი** მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ჩილელის დარტყმა ძელს მოხვდა. თითქოს ეპიზოდი დასრულდა, მაგრამ ასე არ ფიქრობდა **ანსოტეგი**, რომელიც ისე დაფრთხა, რომ ბურთს ფეხი მთელი ძალით მოუქნია, **სუბიკარაის** პირდაპირ ცხვირ-პირში გაარტყა და მეკარეს საკუთარ კარში გაატანინა. დაახლოებით ასეთივე გოლი გავიდა „ლევანტე“-“ბარსელონას“ მეოთხედფინალურ დაპირისპირებაში, როდესაც **ვინტრამ** ბურთი **ხუანფრანს** მოარტყა. როგორც ჩანს, „ბარსელონას“ შემტევთა სიახლოვე მეტოქეებს ისე აბნევს, რომ ასეთ სულელურ შეცდომებს უშვებენ.

სხვა მხრივ, აღსანიშნავია **ინიგო მარტინესის** გაძევება. ახალგაზრდა ფეხბურთელი სერხიო ბუსკეტსის გოლის დროს მსაჯებზე ისე გაცხარდა, რომ არბიტრს წითელი ბარათი გამოსტყუა. მარტინესის გაცხარების მიზეზი არა ბუსკეტსის გოლი, არამედ რამდენიმე წუთით ადრე მომხდარი ინციდენტი იყო, როდესაც **პინტოსთან** პირისპირ გასული **კარლოს ველა ხავიერ მასკერანომ** აშკარად წესების დარღვევით შეაჩერა.

**ტატო ბაციკაძე**

ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ატლ. პარან.-სპ. კრისტ. 2:1 პენ. 5:4 (1:2)**

გოლები: 1:0 მანოელი (52), 1:1 ი. ავილა (63), 2:1 ედერსონი (90+8-პენ)

პენალტების სერია: 1:0 ედერსონი, 1:1 ლობატონი, 1:1 დეივიდი, 1:2 კასულო, 2:2 ფრან მერიდა, 2:3 ადვინკულა, 2:3 ნათანი, 2:3 მ. დელგადო, 3:3 ნათანაელ პიმიენტა, 3:3 კალკატერა, 4:3 მოსკიტო, 4:4 მ. ნუნიესი, 5:4 მანოელი, 5:4 პ. აკინო

გაძევება: ზეზინიო (19. ატლეტიკო პარანაენსე), ა. ბალბინი (19. სპორტინგ კრისტალი), კოსიო (66. სპორტინგ კრისტალი), მ. ორტისი (90+6. სპორტინგ კრისტალი)

**ბოტაფოგო-დეპ. კიტო 4:0 (0:1)**

გოლები: 1:0 ვალისონი (37), 2:0 ვალისონი (67), 3:0 ვალისონი (80), 4:0 ენრიკე (90)

**ტატო ბაციკაძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXIV ტურის წინ

# სამეფო მატჩი ლუი მეორეზე

| 7 თებერვალი | |
|---|---|
| ტულუზი-სტ. ეტიენი | 23:30 |
| **8 თებერვალი** | |
| მარსელი-ბასტია | 20:00 |
| გენგამი-რეიმსი | 23:00 |
| აიაჩო-რენი | 23:00 |
| ლილი-სოშო | 23:00 |
| მონპელიე-ევიანი | 23:00 |
| ვალანსიენი-ნიცა | 23:00 |
| **9 თებერვალი** | |
| ნანტი-ლიონი | 17:00 |
| ბორდო-ლორიანი | 20:00 |
| მონაკო-პსჟ | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 23 | 16 | 6 | 1 | 54-15 | 54 |
| 2. მონაკო | 23 | 14 | 7 | 2 | 38-16 | 49 |
| 3. ლილი | 23 | 12 | 5 | 6 | 24-14 | 41 |
| 4. სტ. ეტიენი | 23 | 12 | 4 | 7 | 33-22 | 40 |
| 5. მარსელი | 23 | 10 | 6 | 7 | 33-26 | 36 |
| 6. ლიონი | 23 | 9 | 7 | 7 | 35-29 | 34 |
| 7. ბორდო | 23 | 9 | 7 | 7 | 29-25 | 34 |
| 8. ნანტი | 23 | 10 | 3 | 10 | 24-23 | 33 |
| 9. რეიმსი | 23 | 8 | 9 | 6 | 27-28 | 33 |
| 10. ლორიანი | 23 | 9 | 5 | 9 | 31-30 | 32 |
| 11. ბასტია | 22 | 8 | 6 | 8 | 27-31 | 30 |
| 12. ნიცა | 23 | 9 | 3 | 11 | 22-28 | 30 |
| 13. ტულუზი | 22 | 7 | 8 | 7 | 23-28 | 29 |
| 14. მონპელიე | 23 | 5 | 12 | 6 | 28-28 | 27 |
| 15. რენი | 23 | 6 | 9 | 8 | 25-25 | 27 |
| 16. გენგამი | 23 | 6 | 8 | 9 | 22-25 | 26 |
| 17. ევიანი | 23 | 5 | 7 | 11 | 21-38 | 22 |
| 18. ვალანსიენი | 23 | 4 | 6 | 13 | 22-36 | 18 |
| 19. სოშო | 23 | 3 | 6 | 14 | 17-44 | 15 |
| 20. აიაჩო | 23 | 1 | 8 | 14 | 16-40 | 11 |

**ბომბარდირები:** 18 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 13 - ედინსონ კავანი (პსჟ); 12 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 10 - ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი); 9 - რადამელ ფალკაო (მონაკო), ემანუელ რივიერი (მონაკო).

## მონაკოს და ბერბატოვის შანსი

მართალია, **კლაუდიო რანიერიმ** წინა ტურის მერე „პარი სენ-ჟერმენი“ უკვე ჩემპიონად გამოაცხადა და სეზონის სტარტზევე ამბობდა, რომ პსჟ უკონკურენტოა, მაგრამ რატომ არ უნდა ითამაშოს „მონაკომ“ საკუთარ „ლუი მეორეზე“ მეტოქესთან მოსაგებად? რა თქმა უნდა, ითამაშებს და თუ ამას შეძლებს სხვაობა ორ ქულამდე შემცირდება, თანაც მალე ჩემპიონთა ლიგა განახლდება და პარიზელებს იქითაც მოუწევთ ყურადღების გადატანა. მოკლედ, ვითარება დროებით მაინც დაიძაბება. ეს ყველაფერი იდეის დონეზე, თორემ **ლორან ბლანს** ცხადია, სულ სხვა გეგმები აქვს და მონაკოდან 3 ქულის წაღებაზე ფიქრობს. ნებისმიერ შემთხვევაში „ლუი მეორეზე“ მართლაც სამეფო მატჩი უნდა გამოვიდეს. წესითა და რიგით, ძალიან საინტერესო, დაძაბული და ამავდროულად სანახაობრივი.

**რადამელ ფალკაო** არ იქნება, მაგრამ ჩინებულ ფორმაშია **ემანუელ რივიერი**. სისტემატურად გატანა დაიწყო **ვალერი ჟერმენმა**. „მონაკოს“ ჰყავს გამოცდილი ახალწვეული **დიმიტარ ბერბატოვის** სახით, მშვენიერ ფორმაში მყოფი კოლუმბიელი ფანტაზისტა **ჯეიმს როდრიგესი** და ასე შემდეგ.

დედაქალაქელებზე საუბარიც ზედმეტია, მათ ორი თითქმის თანაბრად ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ. თუმცა პირველ რიგში რასაკვირველია, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** უნდა გამოვარჩიოთ. შვედი მშვენიერ ფორმაშია, გატანას აგრძელებს და რამდენიმე დღის წინ, ორი ბრწყინვალე გოლით თავისი გუნდი საფრანგეთის ლიგის თასის ფინალშიც გაიყვანა.

*„ჩემი დებიუტისთვის იდეალური მატჩია. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის წინააღმდეგ ვითამაშებ და ვეცდები ეს შანსი გამოვიყენო და თავიდანვე კარგი შთაბეჭდილება მოვახდინო. ზლატან იბრაჰიმოვიჩზე ახალი რა ვთქვა? მას ყველა იცნობს, ის ძალიან ნიჭიერი და ძლიერი ფეხბურთელია. მეტოქეს ჰყავს სხვა ბრწყინვალე ფეხბურთელებიც და აშკარად ფავორიტია, მაგრამ ჩვენ სახლში ვთამაშობთ და პსჟ-ს ადვილი შეხვედრა არ ელის. მთავარი არა სახეები, არამედ გუნდურობაა. ჩემთვის ეს ახალი გამოცდილება და საინტერესო თავგადასავალია“* - განაცხადა ბერბატოვმა.

სხვათა შორის, როგორც ირკვევა ბულგარელი თავდამსხმელი „მონაკოს“ იჯარით კი არ აუყვანია, როგორც თავიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია, არამედ ბოლომდე გამოუსყიდია „ფულემიდან“. ეს ინფორმაცია ლონდონურმა კლუბმაც დაადასტურა.

## რბოლა ლიგის საგზურისთვის

„სენტ ეტიენი“ ჩემპიონთა ლიგის მატარებელს უკნიდან მიეპარა და შემოხტომას ცდილობს, მაგრამ ეს თუ ახლა ვერ შეძლო და მატარებელმა ისევ ჩაიარა და გაასწრო... ვინძლო, ამ სეზონში „მწვანეები“ ასე ახლოს ველარც მიუახლოვდნენ მას. ამიტომაც **კრისტოფ გალტიეს** გუნდმა, როგორმე უნდა მოიგოს თავისი მატჩი ტულუზში. ეს კი ადვილი ნამდვილად არ იქნება, **ალენ კაზანოვას** გუნდის ბოლო ორი მატჩი ავილოთ სამაგალითოდ - მარცხი მეოთხელიგელ „მულენსთან“ და ფრე „ველოდრომზე“ „მარსელთან“. ასე რომ, ამ კლუბის პროგნოზირება ურთულესი საქმეა. თუმცა ასეა თუ ისე, „მწვანეებმა“ როგორმე უნდა სცადონ დადებითი შედეგის მიღწევა. სხვათა შორის, მათ „ტულუზი“ 3 მატჩია, არ დაუმარცხებიათ.

ამჟამად მესამე ადგილზე მყოფი „ლილი“, რომელსაც „სენტ ეტიენის“ გარდა სხვა მდევრებიც ჰყავს, აუტსაიდერ „სოშოს“ მასპინძლობს. ვისთან თუ არა მონბელიარელებთან უნდა შეწყვიტოს **რენე ჟირარმა** ლიგა ერთში ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია... რაც უნდა იყოს, „ლილს“ ჯერ კიდევ ყველაზე ცოტა გოლი აქვს გაშვებული ჩემპიონატში და „სოშოსთვის“ ძალიან რთული თამაში იქნება, მაგრამ წინა ტურში მოგებამ, „ლომებს“ იმედის სულ პატარა ნაპერწკალი გაუღვივა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ უკანასკნელი 20 ურთიერთშეხვედრიდან „სოშოს“ „ლილისთვის“ მხოლოდ 1 აქვს მოგებული.

„ტულუზთან“ საკუთარ კედლებში დაკარგული 2 ქულის მერე, „მარსელი“ „ბასტიას“ დამარცხებას და „ველოდრომის“ პუბლიკის თვალში ამით რეაბილიტირებას შეეცდება. კორსიკელები გასვლაზე ძალიან სუსტები არიან და **ჟოზე ანიგოს** შეგირდებმა ეს შეხვედრა მაინც უნდა მოიგონ.

„ლიონს“ ხანგრძლივი წაუგებელი სერია წინა ტურში „რენთან“ შეუწყდა, მაგრამ **რემი გარდის** ბიჭებმა ხასიათი საფრანგეთის ლიგის თასის ფინალში გასვლით გამოისწორეს და ახლა კიდევ ერთი რთული გასვლა ელით ლიგის თასის ნახევარფინალიდან გამოვარდნილ „ნანტთან“, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩა ხუთეულში მოხვედრის შანსი და ოთხთამატჩიანი (თასის ჩათვლით) მოუგებელი სერიისთვის წერტილის დასმას ლიონელების დამარცხებით შეეცდება. „იაოდნებისა“ და მათი მეტოქის სათამაშო სტილს და მატჩის მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ, წესით, უხვგოლიანი და სანახაობრივი შეხვედრა უნდა გამოვიდეს.

**გიორგი კაკაბაძე**


მონეგასკების მთავარი საზრუნავი ზლატან იბრაჰიმოვიჩის განეიტრალება იქნება

ამბები

## ალექსი მიდის, იანუზაი მოდის?

„პარი სენ-ჟერმენის“ ბრაზილიელი მცველი **ალექს და კოშტა** ზაფხულში შესაძლოა, „მილანში“ გადაბარგდეს. მას პსჟ-სთან კონტრაქტი ივნისში უმთავრდება და დედაქალაქელები მის გახანგრძლივებას არ ჩქარობენ, შესაძლოა 31 წლის ალექსი მათ გეგმებში აღარ შედის. როგორც ამბობენ, „როსონერი“ ფეხბურთელს ორწლიან შეთანხმებას გაუფორმებს და სეზონში 2,5 მილიონ ევროს გადაუხდის, რაც ნახევარი მილიონით ნაკლებია მის ამჟამინდელ ხელფასზე.

პარალელურად, პარიზელები ახალგაზრდა ტალანტებზე ნადირობას აგრძელებენ და **პოლ პოგბას** გარდა, **ადნან იანუზაისაც** არ ეშვებიან. გავრცელებული ცნობებით, პსჟ მზადაა „მანჩესტერ იუნაიტედს“ 40-45 მილიონი ევრო გადაუხადოს.

## ლილს კორშია წაართვეს

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ „ლილს“ **სებასტიან კორშიას** ტრანსფერი დაუბლოკა. როგორც იცით, 24 წლის მცველი იანვრის ბოლოს „სოშოდან“ „ლილში“ გადაბარგდა, მაგრამ ტრანსფერის გაფორმების დროს, რამდენიმე დოკუმენტი ბოლომდე წესრიგში არ იყო, და ფედერაციისთვის ეს საკმარისი გამოდგა შეთანხმების გასაუქმებლად. „ლილმა“ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და გამონაკლისის დაშვება ითხოვა, იმ მიზეზით, რომ არანაირ მაქინაციას ადგილი არ ჰქონია და უბრალო გაუგებრობა მოხდა, მაგრამ აპელაცია არ დაკმაყოფილდა.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXIII ტურის წინ

# საინტერესო მატჩების მოლოდინში

## 7 თებერვალი

**ესპანიოლი-გრანადა** 00:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დავიდ ლოპესი - რიკი, იგალო

ბოლო 6 მატჩი
+2 =1 -3 (7-8) | +1 =1 -4 (6-10)

ურთიერთშეხვედრები
სულ 5 თამაში: +2 =1 -2 (5:3)

## 8 თებერვალი

**ვალენსია-ბეტისი** 19:00

**დისკვალიფიკაცია:** რიკარდო კოშტა - სალვა სევილია
**ტრავმა:** ვიქტორ რუისი - პერკისი, ჩული, ხავი ტორესი

ბოლო 6 მატჩი
+2 =2 -2 (10-9) | +1 =1 -4 (5-12)

ურთიერთშეხვედრები
სულ 35 თამაში: +21 =6 -8 (57:34)

**ვალეკანო-მალაგა** 21:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გალვესი, ა. პერეა, სება ფერნანდესი, ხოსე კარლოსი - სანტა კრუსი, ველიგტონი, ხესუს გამესი

ბოლო 6 მატჩი
+1 =1 -4 (6-13) | +2 =1 -3 (4-7)

ურთიერთშეხვედრები
სულ 15 თამაში: +7 =2 -6 (25:25)

**რეალი-ვილიარეალი** 23:00

**დისკვალიფიკაცია:** კრიშტიანო რონალდო - პინა
**ტრავმა:** ხედირა - ოლივერ ტორესი, ბრუნო, კანი, ფარინოსი, ი. უჩე

ბოლო 6 მატჩი
+5 =1 -0 (15-3) | +4 =0 -2 (16-7)

ურთიერთშეხვედრები
სულ 27 თამაში: +17 =8 -2 (59:24)

**ალმერია-ატლეტიკო** 01:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** როდრი, ნელსონი - მარიო სუარესი, დავიდ ვილია

ბოლო 6 მატჩი
+3 =0 -3 (6-9) | +4 =2 -0 (13-5)

ურთიერთშეხვედრები
სულ 9 თამაში: +1 =5 -3 (12:19)

## 9 თებერვალი

**ოსასუნა-ხეტაფე** 15:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** სისი, ნინო - ალექსისი

ბოლო 6 მატჩი
+2 =2 -2 (6-10) | +0 =2 -4 (4-12)

ურთიერთშეხვედრები
სულ 27 თამაში: +7 =9 -11 (21:32)

**ვალიადოლიდი-ელჩე** 20:00

**დისკვალიფიკაცია:** ხავი გერა - დ. სუარესი
**ტრავმა:** ოსკარი, ოსორიო - ა. ხიმენესი

ბოლო 6 მატჩი
+1 =2 -3 (5-12) | +2 =1 -3 (4-10)

ურთიერთშეხვედრები
სულ 15 თამაში: +8 =3 -4 (21:16)

**სოსიედადი-ლევანტე** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გრანერო, დე ლა ბელია, ესტრადა - სერჟიუ პინტუ, ე. როდასი

ბოლო 6 მატჩი
+3 =1 -2 (12-12) | +2 =2 -2 (7-8)

ურთიერთშეხვედრები
სულ 15 თამაში: +3 =5 -7 (16:20)

## 10 თებერვალი

**სელტა-ბილბაო** 01:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** - ტოკერო, ალბისუა

ბოლო 6 მატჩი
+3 =1 -2 (9-9) | +4 =1 -1 (18-8)

ურთიერთშეხვედრები
სულ 31 თამაში: +7 =11 -13 (36:44)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 22 | 18 | 3 | 1 | 56-14 | 57 |
| 2. ბარსელონა | 22 | 17 | 3 | 2 | 59-16 | 54 |
| 3. რეალი | 22 | 17 | 3 | 2 | 61-22 | 54 |
| 4. ბილბაო | 22 | 13 | 4 | 5 | 42-28 | 43 |
| 5. ვილიარეალი | 22 | 12 | 4 | 6 | 42-23 | 40 |
| 6. სოსიედადი | 22 | 10 | 6 | 6 | 42-34 | 36 |
| 7. სევილია | 22 | 8 | 7 | 7 | 41-37 | 31 |
| 8. ვალენსია | 22 | 8 | 4 | 10 | 31-35 | 28 |
| 9. ლევანტე | 22 | 7 | 7 | 8 | 22-30 | 28 |
| 10. ესპანიოლი | 22 | 7 | 5 | 10 | 25-29 | 26 |
| 11. სელტა | 22 | 7 | 4 | 11 | 29-35 | 25 |
| 12. ხეტაფე | 22 | 7 | 4 | 11 | 22-34 | 25 |
| 13. მალაგა | 22 | 6 | 6 | 10 | 22-29 | 24 |
| 14. გრანადა | 22 | 7 | 3 | 12 | 20-29 | 24 |
| 15. ელჩე | 22 | 6 | 6 | 10 | 20-32 | 24 |
| 16. ოსასუნა | 22 | 6 | 4 | 12 | 19-37 | 22 |
| 17. ალმერია | 22 | 6 | 4 | 12 | 22-41 | 22 |
| 18. ვალიადოლიდი | 22 | 4 | 8 | 10 | 24-37 | 20 |
| 19. ვალეკანო | 22 | 5 | 2 | 15 | 21-51 | 17 |
| 20. ბეტისი | 22 | 3 | 5 | 14 | 20-47 | 14 |

**ბომბარდირები:** 22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 20 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 14 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 13 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 12 - პედრო (ბარსელონა), იკეჩუკვუ უჩე (ვილიარეალი); 11 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ხავი გერა (ვალიადოლიდი), დავიდ ვილია (ატლეტიკო)

**9.02. სევილია. სანჩეს პისხუანი** 00:00

**სევილია**

ბოლო 6 მატჩი
+2 =2 -2 (11-9) | +3 =2 -1 (15-6)

ურთიერთშეხვედრები
სულ 42 თამაში: +10 =9 -23 (44:78)

**ბარსელონა**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** კოკე - მასკერანო, ალბა
**ტრავმა:** ზზაი - ნეიმარი, ოიერი, ჟონათან დოს სანტოსი

**ლა ლიგის მორიგ ტურში ორი ძალიან საინტერესო მატჩი გველის: შაბათს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კრიშტიანო რონალდოს გარეშე დარჩენილი „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ „ვილიარეალს“ უმასპინძლებს, კვირას კი „სანჩეს პისხუანზე“ „სევილია“ „ბარსელონას“ დაუხვდება.**




შარშან სევილიაში „ბარსა“ 2:0-ს აგებდა, საბოლოოდ კი 3:2 მოიგო

### რონალდო - არა, ბეილი - შეიძლება

„სამეფო კლუბმა“ თასის 1/2 ფინალში „ატლეტიკო“ გაანადგურა და ფინალში თამაში თითქმის 100 პროცენტით გაინაღდა. „ვილიარეალი“ კი მთელი კვირის განმავლობაში ურთულესი მატჩისთვის ემზადებოდა. „ყვითელ წყალქვეშა ნავს“ „ბერნაბეუზე“ ერთხელაც არ უმარჯვია და ამ სტადიონზე გამართული 13 მატჩიდან მხოლოდ 3-ჯერ არ დამარცხდა (3 ფრე და 10 წაგება). უკანასკნელად, მადრიდიდან ქულა ვალენსიელებმა 2006 წელს წაიღეს, იქიდან მოყოლებული კი ზედიზედ ხუთი მატჩი წააგეს.

„რეალს“ დისკვალიფიცირებული **კრიშტიანო რონალდო** არ ეყოლება, სამაგიეროდ, დაბრუნების კარგი შანსი აქვს **გარეთ ბეილს**, რომელიც სარეაბილიტაციო პროცესს აგრძელებს და ნესით, შაბათს სათამაშოდ მზად უნდა იყოს. სერიოზული არ გამოდგა სათასო მატჩის გმირის, **ანხელ დი მარიას ტრავმა** და ისიც გუნდთან ერთად ემზადება. სხვა მხრივ, **კარლო ანჩელოტის** ყველა წამყვანი ფეხბურთელი (**სამი ხედირას** გარდა) მწყობრში ჰყავს.

გაცილებით მეტი პრობლემა აქვს **მარსელინიოს**, რომელსაც ამ ურთულეს შეხვედრაში რამდენიმე გამორჩეული მოთამაშე არ ეყოლება. წინა ტურში დაზიანება მიიღო გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა **იკეჩუკვუ უჩემ**, რომლის თამაშიც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა. უკვე მსუბუქად იტვირთება **კანი**, მაგრამ ვალენსიელთა 10-იანის შანსები, რომ მოედანზე გავიდეს, არც ისე დიდია. მცირე ტრავმები აწუხებთ **ბრუნო სორიანოს** და **მატეო მუსაჩიოს**. აი, **ტომას პინა** კი ნამდვილად ვერ ითამაშებს, რადგან ნახევარმცველმა „ოსასუნასთან“ სეზონში თავისი მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო. ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელის გარეშე სტუმრებს ძალიან გაუჭირდებათ, მაგრამ მარსელინიო იხტიბარს არ იტეხს და იმედოვნებს, რომ მისი შეგირდები მადრიდელებს უსიამოვნოდ გააოცებენ.

### სევილია-ბარსელონა

შთამბეჭდავი დაუმარცხებელი სერიის შემდეგ, „სევილიამ“ ზედიზედ ორი მატჩი წააგო, თანაც ამ ორ შეხვედრაში ექვსი გოლი გაუშვა. **უნაი ემერის** გუნდის მომდევნო მეტოქე კი „ბარსელონაა“, რომელიც უკანასკნელ ტურში ასევე დამარცხდა და გულშემატკივართა წინაშე რეაბილიტაციისთვის ემზადება. სათასო შეხვედრაში მოპოვებული არც ისე დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, კატალონიელები ანდალუსიაში გაემგზავრნენ და მიზნად მხოლოდ სამი ქულის მოპოვებას ისახავენ.

**ხერარდო მარტინოს** განკარგულებაში არ იქნებიან **ხავიერ მასკერანო** და **ჟორდი ალბა** - ორივე დისკვალიფიცირებულია. ალბა წინა ტურში გააძევეს, მასკერანომ კი მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო. ამავე მიზეზით მასპინძლებს მარჯვენა მცველი **კოკე** არ ეყოლებათ, სამაგიეროდ, „სევილიას“ ლაზარეთში მხოლოდ **სტეფან მბია** დარჩა და ყველა სხვა ფეხბურთელი გამოჯანმრთელდა. როგორც იქნა, ემერის სრულ გუნდთან მუშაობის საშუალება აქვს და ვნახოთ, რას მოიფიქრებს ამ მატჩისთვის ბასკი სპეციალისტი, რომელსაც სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში „ბარსელონა“ არასდროს დაუმარცხებია. თავად „სევილიამ“ კი ჩემპიონატში მეტოქეს უკანასკნელად 2007 წელს სძლია. ამის შემდეგ გამართული 13 მატჩიდან მხოლოდ 3 დასრულდა ფრედ, 10-ჯერ კი კატალონიელებმა იმარჯვეს. ყველაზე ახლოს გამარჯვებასთან ანდალუსიელები შარშან იყვნენ, როდესაც 2:0-ს იგებდნენ, 89-ე წუთზე კი ანგარიში 2:1 იყო, მაგრამ დარჩენილ დროში „ბარსამ“ ორი გოლი გაიტანა და 3:2 მოიგო.

აქვე, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ამ გუნდების პირველი წრის მატჩი, რომელიც ძალიან დაძაბული და დრამატული გამოდგა. „ნოუ კამპზე“ გამართულ შეხვედრაში „ბარსა“ 2:0-ს იგებდა, მაგრამ სტუმრებმა წონასწორობის აღდგენა მოახერხეს, მიუხედავად ამისა, „სევილიამ“ ბოლომდე ვერ გაძლო და არბიტრის მიერ დამატებულ მესამე წუთზე გადამწყვეტი გოლი გაუშვა. ეს შეხვედრა გამორჩეული არბიტრის შეცდომითაც გახლდათ - ჯერ კიდევ 1:0-ზე, მსაჯმა **ხუან კალას** მიერ წესების დაცვით გატანილი გოლი არ ჩათვალა. ეს მომენტი ამ სეზონის ერთ-ერთ ყველაზე გაუგებარ და უცნაურ ეპიზოდად რჩება - დღემდე არავინ იცის, რა იყო კალას გოლის არჩათვლის მიზეზი...

### ბილბაო ისევ ორშაბათს

ტრადიციულად, ტური ორშაბათს დასრულდება და ასევე ტრადიციულად, ამ დღეს ბილბაოს „ატლეტიკი“ ითამაშებს. ვერ გეტყვით, რა არის ამის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, ორშაბათს გამართული მატჩების ნახევარზე მეტში მონაწილეობას სწორედ ბასკები იღებენ. ამჯერად, წინა ტურის გმირები გალისიაში ითამაშებენ და **ლუის ენრიკეს** „სელტას“ დამარცხებას ეცდებიან, ეს კი იოლი გასაკეთებელი სულაც არ იქნება - ვიგოელებს 4-მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია აქვთ.

„სელტამ“ და „ბილბაომ“ ამ სეზონში „ბალაიდოსზე“ უკვე ითამაშეს. ესპანეთის თასის შეხვედრაში **სანტი მინას** ერთადერთი გოლის წყალობით გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ, თუმცა მომდევნო ეტაპზე მაინც „ატლეტიკი“ გავიდა.

**ერნესტო ვალვერდეს** გუნდი კარგ ფორმაშია - ბოლო 10 მატჩიდან 7-ში იმარჯვა და მხოლოდ ერთხელ წააგო. მორიგი წარმატების შემთხვევაში „ბილბაოს“ მდევართან სხვაობის გაზრდის შესანიშნავი შანსი ექნება, რადგან ამ მომენტისთვის მისი მთავარი კონკურენტი „ვილიარეალია“, რომელსაც ამ ტურში თუნდაც ქულის მოპოვება უალრესად უნდა გაუჭირდეს.

ჩემპიონატის ლიდერი და თასზე დამარცხებული „ატლეტიკო“ კი „ალმერიას“ შეხვდება და მთელი ჯავრის ამოყრას მასზე ეცდება. ამ წყვილზე სალაპარაკო ბევრი არაფერია - **დიეგო სიმეონეს** გუნდი აშკარა ფავორიტია, უბრალოდ, ალვნიშნავთ, რომ „ატლეტიკოს“ „ალმერია“ სტუმრად ჯერ არ დაუმარცხებია - 3 ფრე და 1 წაგება.

**ტატო ბაციკაძე**

## ამბები

### ვალენსიამ ოტამენდი შეიძინა



**ხუან ანტონიო პიცი** ამ ჩემპიონატის დარჩენილ ნაწილს გუნდის შესაცვლელად და მომდევნო სეზონისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს. არგენტინელმა სპეციალისტმა კლუბიდან საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გაუშვა და აქცენტი ახალგაზრდებზე გააკეთა. გარდა ამისა, „ლამურები“ ტრანსფერებზეც ფიქრობენ და აი, მომავალი სეზონისთვის გუნდმა ერთი კარგი ფეხბურთელი უკვე დაიბევა - **ნიკოლას ოტამენდი** ზაფხულში „ვალენსიას“ ფეხბურთელი გახდება.

25 წლის არგენტინელ მცველს მთხოვნელთა მთელი რიგი ედგა, მაგრამ ყველას „ვალენსიამ“ აჯობა, რომელმაც „პორტუს“ 12 მილიონი ევრო გადაუხადა, თავად ოტამენდის კი 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

**ტატო ბაციკაძე**

### დარბევა და გაფიცვა კორინთიანსში

ბრაზილიურ „კორინთიანსში“ სერიოზული არეულობაა. გულშემატკივრებმა ფეხბურთელებს „სანტოსთან“ წაგებული 1:5 ვერ აპატიეს და რასაც ჰქვია, დარბევა მოუწყვეს მათ. განაწყენებული ქომაგების საქციელი, რომლებმაც პრინციპულ მეტოქესთან დამამცირებელი ანგარიშით მარცხი ვერ აიტანეს, მართლაც ყოველგვარს საზღვარს გასცდა. ჯოხებითა თუ რკინის ნაჭრებით შეიარაღებული დაახლოებით 100 ვაი-ფანი „კორინთიანსის“ ბაზაზე შეიჭრა. თავდასხმის დროს, ჯერაც დაუდგენელი პირები გუნდის პერუელ ლეგიონერს **პაულო გერეროს** კისერში სწვდნენ. მოპარულია ფეხბურთელების მობილური ტელეფონები და ფული. მოთამაშეები შეშფოთებულნი არიან და ოფიციალური განცხადებაც გამოაქვეყნეს, რომელშიც კლუბის უფროსობისგან მათი უსაფრთხოების ზომების დაცვას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაფიცვით იმუქრებიან.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტურის წინ

# იქ, სადაც ლივერპული აუტსაიდერია

## 8 თებერვალი

**ასტონ ვილა–ვესტ ჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - კეროლი
**ტრავმა:** ვლაარი, ოკორე, აგბონლაჰორი, ჰერდი, კოზაკი, ნზოგბია - ვას ტე, ობრაიენი, დიამე, ჯ. კოული

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 | +2=2-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 91 თამაში: +32=28-31 (143-145)**

**ჩელსი–ნიუკასლი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - რემი
**ტრავმა:** ტორესი, ვან გინკელი, კალაში - კოლოჩინი, სისე, გუფრანი, რ. ტეილორი, ობერტანი, ს. ამეობი

ბოლო 6 მატჩი
+5=1-0 | +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
**სულ 130 თამაში: +52=34-44 (186-168)**

**პალასი–ბრომვიჩი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტომასი, მარი – ოლსონი, მორისონი, სესინიონი, ანელკა

ბოლო 6 მატჩი
+2=1-3 | +1=3-2
ურთიერთშეხვედრები
**სულ 38 თამაში: +10=12-16 (43-49)**

**ნორვიჩი–სიტი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტერნერი, ჰაუსონი, ე. ბენეტი - ნასრი, ხ. გარსია, აგუერო, ფერნანდინიო

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +5=0-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 48 თამაში: +6=16-26 (46-93)**

**საუთჰემპტონი–სტოკი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლოვრენი, რამირესი, ჩემბერსი - ჰუთი, ეთერინგტონი, უილკინსონი

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 | +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
**სულ 37 თამაში: +18=9-10 (64-50)**

**სანდერლენდი–ჰალი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - მაკგრეგორი
**ტრავმა:** ს. ფლეტჩერი, ვესტვუდი, კუელიარი, კატერმოული - ჩესტერი

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 | +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
**სულ 7 თამაში: +6=0-1 (13-3)**

**8.02. ლივერპული. ენფილდი 16:45**

### ლივერპული

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 | +5=1-0
ურთიერთშეხვედრები
**სულ 180 თამაში: +66=48-66 (249-244)**

### არსენალი

სავარაუდო შემადგენლობები

ლივერპ.: მინიოლე; შკრტელი, კ. ტურე; ფლენაგანი, სისოკო; ჯერარდი, სტერლინგი; ჰენდერსონი, კოუტინიო; სუარესი, სტარიჯი

ჟირუ; პოდოლსკი, კასორლა; იოზილი; ოქსლეიდ-ჩემბერლენი, არტეტა; მონრეალი, სანია; კოშელნი, მერტეზაკერი; შჩესნი :არსენ.

**დისკვალიფიკაცია:** - ფლამინი
**ტრავმა:** ჯონსონი, ხ. ენრიკე, აგერი, კოატესი, სახო, ლეივა - უილშირი, უოლკოტი, რემსი, სანოგო, დიაბი

**სუონსი–კარდიფი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვორმი, შელვი, მიჩუ, კანიასი - ე. ტეილორი, ჰადსონი

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 | +1=1-4
ურთიერთშეხვედრები
**სულ 18 თამაში: +8=5-5 (23-17)**

## 9 თებერვალი

**ტოტენჰემი–ევერტონი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლამელა - გიბსონი, ოვიედო, კონე, დელოფეუ, ლუკაკუ, ტრაორე

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 | +3=2-1
ურთიერთშეხვედრები
**სულ 152 თამაში: +55=49-48 (231-200)**

**იუნაიტედი–ფულჰემი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯონსი, ფერდინანდი, ევანსი, ნანი - რიისე, ბრიგსი

ბოლო 6 მატჩი
+3=0-3 | +1=0-5
ურთიერთშეხვედრები
**სულ 51 თამაში: +34=10-7 (121-56)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 24 | 17 | 4 | 3 | 47-21 | 55 |
| 2. სიტი | 24 | 17 | 2 | 5 | 68-27 | 53 |
| 3. ჩელსი | 24 | 16 | 5 | 3 | 44-20 | 53 |
| 4. ლივერპული | 24 | 14 | 5 | 5 | 58-29 | 47 |
| 5. ევერტონი | 24 | 12 | 9 | 3 | 37-25 | 45 |
| 6. ტოტენჰემი | 24 | 13 | 5 | 6 | 31-32 | 44 |
| 7. იუნაიტედი | 24 | 12 | 4 | 8 | 39-29 | 40 |
| 8. ნიუკასლი | 24 | 11 | 4 | 9 | 32-31 | 37 |
| 9. საუთჰემპტონი | 24 | 9 | 8 | 7 | 34-27 | 35 |
| 10. ასტონ ვილა | 24 | 7 | 6 | 11 | 27-34 | 27 |
| 11. სტოკი | 24 | 6 | 7 | 11 | 24-38 | 25 |
| 12. სუონსი | 24 | 6 | 6 | 12 | 29-35 | 24 |
| 13. ჰალი | 24 | 6 | 6 | 12 | 23-30 | 24 |
| 14. სანდერლენდი | 24 | 6 | 6 | 12 | 25-36 | 24 |
| 15. ნორვიჩი | 24 | 6 | 6 | 12 | 19-37 | 24 |
| 16. ბრომვიჩი | 24 | 4 | 11 | 9 | 28-34 | 23 |
| 17. პალასი | 24 | 7 | 2 | 15 | 15-33 | 23 |
| 18. ვესტ ჰემი | 24 | 5 | 7 | 12 | 24-33 | 22 |
| 19. კარდიფი | 24 | 5 | 6 | 13 | 19-41 | 21 |
| 20. ფულჰემი | 24 | 6 | 1 | 17 | 22-53 | 19 |

**ბომბარდირები:** 23 - ლუის სუარესი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 14 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

**XXV ტურში სამი ერთმანეთზე საინტერესო შეხვედრა გაიმართება. ვგულისხმობთ „ჩელსი“-“ნიუკასლს“, „ტოტენჰემი“-“ევერტონსა“ და ცხადია, უპირველესად, „ლივერპული“-“არსენალის“ დაპირისპირებებს. უკანასკნელი საფეხბურთო უქმეებს გახსნის და ცენტრალური მატჩის სტატუსიც, რა თქმა უნდა, მას ეკუთვნის.**

წინა ტურის შედეგების მიხედვით „არსენალმა“ ლიდერობა დაიბრუნა და ხვალინდელი შეხვედრა პოზიციის გასამყარებლად და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია. „მეთოფეებისთვის“ უახლოესი 10-11 დღე ჯოჯოხეთურად რთული იქნება იმ კალენდრის გათვალისწინებით, რაც ბედმა არგუნა. მასპინძლებმა „ევერტონთან“ ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩის (4:0) შემდეგ „ვესტ ბრომვიჩთან“ კიდევ ერთხელ დაამუხრუჭეს (1:1). მათთვის ქულების დაკარგვა უკვე აღარ შეიძლება, მით უფრო, პრინციპულ მოწინააღმდეგესთან. შეიძლებოდა, ამ შემთხვევაში გუნდებისთვის უშუალო კონკურენტებიც გვეწოდებინა, თუმცა „ლივერპული“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მაინც აუტსაიდერია და მისთვის ეს ალბათ ზედმეტი პატივი იქნებოდა. „წითლების“ პოტენციალს ჩვენ კი არ ვაკნინებთ, თავად **ბრენდან როჯერსი** აღიარებს, რომ მისი გუნდისთვის პირველ ადგილზე ოცნება ამ ეტაპზე უსაფუძვლო ოპტიმიზმია: „ლივერპულისთვის“ ჩემპიონობაზე ფიქრი ალბათ ნაადრევია. ამას უსაფუძვლოდ არ ვამბობ. „სიტი“-“ჩელსის“ მატჩს დავესწარი და საკუთარი თვალით ვიხილე, თუ რამხელა, ჯერ კიდევ გამოუყენებელ პოტენციალს ფლობენ აღნიშნული გუნდები. მათ ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით, კონკურენცია ძალიან ძნელი იქნება. მიუხედავად ამისა, საჩემპიონო რბოლაში ჩვენს კორექტივებს აუცილებლად შევიტანთ, რადგან „სიტისთან“, „ჩელსისთან“ და „არსენალთან“ „ენფილდზე“ გვაქვს სათამაშო. მე-2 ადგილს 6 ქულა გვაშორებს, დარჩენილ ტურებში ასეთი ფორის გაბათილება წარმოუდგენლად არ მეჩვენება. შანსი, რაც უნდა მცირე გაგვაჩნდეს, პროფესიონალები ვართ და მისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ“.

ორიოდე სიტყვით ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკაზეც ვთქვათ: ბოლო წლებში „არსენალის“ უპირატესობა აშკარაა: 2008 წლის აპრილიდან მოყოლებული, გრანდებმა ერთმანეთში 12 შეხვედრა ჩაატარეს, რომელთაგან ლონდონელებმა 5-ში იმარჯვეს, 5 ფრედ დაასრულეს და 2-ჯერ დამარცხდნენ. კონკრეტულად „ენფილდზე“ დედაქალაქელთა წაუგებელი სერია 5 მატჩს აღწევს (3მ, 2ფ).

დაბოლოს, საკადრო პრობლემებზე: მეტოქეებს ამ მხრივ ერთნაირად უჭირთ. დაიწერა, თითქოს შაბათისთვის **დანიელ აგერი** და **მამადუ სახო** ჩადგებოდნენ მწყობრში, თუმცა ინფორმაცია არ დადასტურდა. როჯერსის თქმით, ფეხბურთელების სარეაბილიტაციო პროცესი გეგმის თანახმად მიდის, მაგრამ ისინი ჯერ საერთო ჯგუფშიც კი არ დაბრუნებულან სავარჯიშოდ. სამაგიეროდ, მატებაა მეტოქის ბანაკში. დიდი შანსია, თამაში მოახერხოს სამი კვირის წინ ტრავმირებულმა **ჯეკ უილშირმა**.




არსენალელი პერ მერტეზაკერი დანიელ სტარიჯის წინააღმდეგ

ამბები

## ბერგკამპი, ლუის ენრიკე, დესაი...

**მიკაელ ლაუდრუპის** გათავისუფლების შემდეგ „სუონსი“ დროებით 34 წლის **გარი მონკს** ჰყავს ჩაბარებული, ვისაც სამწვრთნელო გამოცდილება არ გააჩნია. შესაბამისად, კლუბი დანიელის სრულფასოვან მემკვიდრეს ეძებს. უკვე ვწერდით, რომ ყველაზე რეალური **გრემ ჯონსისა** ან **გლენ ჰოდლის** დანიშვნაა. მასმედიას ამ პოსტზე სხვა კანდიდატურებიც ჰყავს. მაგალითად **ოსკარ გარსია** (40 წლის, „ბრაიტონი“), **ლუის ენრიკე** (43 წლის, „სელტა“), **დენის ბერგკამპი** (44 წლის, „აიაქსი“, მთავარი მწვრთნელის თანაშემწე) და **მარსელ დესაი** (45 წლის, საფრანგეთი). უკანასკნელის კანდიდატურაზე სერიოზულად მსჯელობა დროის ფუჭი კარგვა გვგონია, რადგან 2006 წელს აქტიური კარიერის დასრულების შემდეგ დესაის ფეხბურთთან უშუალო შეხება არ ჰქონია. ამჟამად ის განის სახელით გაეროს კეთილი ნების ელჩის მოვალეობას ასრულებს და ერთ-ერთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად საფეხბურთო სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას ცდილობს.

## ჯონსონი ინგლისის ნაკრებში დაბრუნდება

„არსენალის“ გარემარბ **თეო უოლკოტს** თვეზე მეტია, მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტის გამო არ უთამაშია. ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე 24 წლის ფეხბურთელის ასპარეზობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. „სამი ლომის“ თავკაცი **როი ჰოჯსონი** ალტერნატიულ ვარიანტებს ეძებს. მან თვალი „სანდერლენდის“ 26 წლის ნახევარმცველ **ადამ ჯონსონს** დაადგა, ვინც იანვრის შემდეგ პრემიერლიგაში ბრწყინვალედ თამაშობს (5 თამაში, 7 გოლი, 2 პასი) და ვისაც ჰოჯსონის ხელში ნაკრებში ჯერ არ უთამაშია. ამ მიზნით, ის შაბათს „სტედიუმ ოფ ლაითსზე“ „სანდერლენდი“-“ჰალის“ შეხვედრას პირადად დაესწრება. ინგლისი უახლოეს შეხვედრას 5 მარტს „უემბლიზე“ დანიასთან გამართავს.

## ელ ნინიო მზადაა

19 იანვარს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ტრავმირებულმა **ფერნანდო ტორესმა** მოირჩინა ნატკენი მუხლი. 29 წლის თავდამსხმელმა სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა და ხვალ „ნიუკასლთან“ თამაშზე გუნდის განაცხადში იქნება.

## არსენალის დიდი გეგმები სუარესის გარეშე

„არსენალი“ ზაფხულზე რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელის შეძენას გეგმავს. „მეთოფეებს“ უპირველესად თავდასხმის გაძლიერება აქვთ დაგეგმილი, რადგან **ოლივიე ჟირუს** სრულფასოვანი პარტნიორი არ ჰყავს. **ნიკლას ბენდტნერი** ამ როლისთვის არ ვარგა. ინგლისური პრესის მიერ შედგენილ სიაში უმეტესობა თავდამსხმელია. ესენი არიან: **დიეგო კოშტა** (25 წლის, ატლეტიკო, კონტრაქტი 2018 წლამდე), **მარიო მანჯუკიჩი** (27 წლის, ბაიერნი, კონტრაქტი 2016 წლამდე), **ედინ ჯეკო** (27 წლის, მანჩესტერ სიტი, კონტრაქტი 2015 წლამდე), **ჯექსონ მარტინესი** (27 წლის, პორტუ, კონტრაქტი 2016 წლამდე), **ლუკაშ პიშჩეკი** (28 წლის, დორტმუნდი, კონტრაქტი 2017 წლამდე), **იულიან დრაქსლერი** (20 წლის, შალკე, კონტრაქტი 2018 წლამდე). ამასთან, **არსენ ვენგერი** პირადად ადასტურებს, რომ **ლუის სუარესის** ტრანსფერზე მუშაობას აღარ აპირებს. მოგეხსენებათ, 26 წლის ურუგვაელმა „ლივერპულთან“ ხელშეკრულება მიმდინარე სეზონში 2018 წლის ზაფხულამდე გააგრძელა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტურის წინ

# მეორე წრის საუკეთესო გუნდების დერბი

## სად ბაიერნი და სად ნიურნბერგი? ორივე ბავარიაა!



დრმიჩის (მარცხნივ) ნიურნბერგს პირველ წრეში მოგება არ ჰქონდა, მეორე წრეში კი ორივე თამაში მოიგო! გიოტცეს ბაიერნი კი დაფრინავს

**გერმანიის** ჩემპიონატის მე-20 ტური საინტერესო უნდა გამოვიდეს. ტური პარასკევს მონინავე გუნდების ჯახით იწყება: მიონხენგლადბახის „ბორუსია“ დღეს საღამოს „ლევერკუზენს“ მასპინძლობს. შაბათის ყველაზე საინტერესო შეხვედრა უდავოდ ბავარიული დერბია, რომელშიც „ნიურნბერგი“ „ბაიერნს“ მასპინძლობს და მიუნხენური გიგანტისთვის ფეხის დადებას შეეცდება. აღსანიშნავია, რომ ეს არა მარტო ბავარიული კლუბების, არამედ მეორე წრის საუკეთესო გუნდების დაპირისპირებაცაა, რადგან პირველი წრის მოუგებლად დასრულების შემდეგ, „ნიურნბერგმა“ მეორე წრეში ორივე მატჩი მოიგო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 19 | 17 | 2 | 0 | 51-9 | 53 |
| 2. ლევერკუზენი | 19 | 13 | 1 | 5 | 36-20 | 40 |
| 3. დორტმუნდი | 19 | 11 | 3 | 5 | 42-23 | 36 |
| 4. შალკე | 19 | 10 | 4 | 5 | 37-29 | 34 |
| 5. გლადბახი | 19 | 10 | 3 | 6 | 36-24 | 33 |
| 6. ვოლფსბურგი | 19 | 9 | 3 | 7 | 30-24 | 30 |
| 7. მაინცი | 19 | 9 | 3 | 7 | 29-32 | 30 |
| 8. ჰერტა | 19 | 8 | 4 | 7 | 28-24 | 28 |
| 9. აუგსბურგი | 19 | 8 | 4 | 7 | 26-28 | 28 |
| 10. ჰანოვერი | 19 | 7 | 3 | 9 | 29-33 | 24 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 19 | 5 | 6 | 8 | 39-42 | 21 |
| 12. ვერდერი | 19 | 5 | 5 | 9 | 23-40 | 20 |
| 13. შტუტგარტი | 19 | 5 | 4 | 10 | 32-37 | 19 |
| 14. აინტრახტი | 19 | 4 | 6 | 9 | 21-34 | 18 |
| 15. ნიურნბერგი | 19 | 2 | 11 | 6 | 24-34 | 17 |
| 16. ფრაიბურგი | 19 | 4 | 5 | 10 | 19-35 | 17 |
| 17. ჰამბურგი | 19 | 4 | 4 | 11 | 33-44 | 16 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 19 | 3 | 3 | 13 | 11-34 | 12 |

**ბომბარდირები:** 12 - ადრიან რამოსი (ჰერტა); 11 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი)

პარასკევის მატჩში სასწორზე ჩემპიონთა ლიგის საგზური დევს: „გლადბახმა“ მეორე წრე წარუმატებლად, ორი ნაგებით დაიწყო და კლუბის ხელმძღვანელები უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ფეხბურთელები ისე არ იხარჯებიან, როგორც პირველ წრეში იხარჯებოდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ „გლადბახის“ თავკაცი **ლუსიენ ფავრი** იძულებულია, ზედიზედ მესამედ შეცვალოს დაცვის ხაზი, რადგან მარჯვენა მცველი **კორბი** დისკვალიფიცირებულია. ლევერკუზენელთა მთავარი ამოცანა კი მდევრებთან უპირატესობის გაზრდაა. მას მერე, რაც მეორე წრე დაიწყო, „ბაიერნის“ ფლანგის მცველები ბევრს სცოდავენ. მთავარ მწვრთნელ **სამი ჰიიპიას** იმედი აქვს, რომ ამ მხრივ სიტუაციას ახალწვეული **გუარდადო** გამოასწორებს.

### მოვა ვოლფსბურგი აზრზე?

„გლადბახის“ არ იყოს, სეზონის მეორე ნახევარი „ვოლფსბურგმაც“ ორი მარცხით დაიწყო. არადა, „მგლებმა“ სატრანსფერო პერიოდში ჯიბეზე გვარიანად გაიკრეს ხელი და ახლა გაურკვევლობაში არიან: **დიეგო** ნავიდა, **კალიჯური** დისკვალიფიცირებულია, ძვირად ღირებული ახალწვეული **დე ბრუინი** კი იმედებს ჯერ ვერ ამართლებს. ასე რომ, მწვრთნელ **დიტერ ჰეკინგს** ძირითად შემადგენლობაში **შეფერის, ჟუნიორ მალანდას** ან **ტრეშის** დაბრუნება მოუწევს. „ვოლფსბურგის“ მეტოქე ამ ტურში „მაინცია“ - გუნდი, რომელმაც მეორე წრე ორი მოგებით, ანუ, ძალიან კარგად დაიწყო. და საერთოდ: **თომას ტუხელის** გუნდს ზედიზედ სამი ტურია, ქულა არ დაუკარგავს.

### დაწნეხილი ვერდერი დორტმუნდს ხვდება

მთლად „ჰამბურგივით“ კატასტროფულში არა, მაგრამ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია ბრემენის „ვერდერიც“, რომელსაც ბოლო 8 ტურში ერთადერთი მოგება აქვს. „ვერდერი“ ბოლო დროს არაერთხელ ყოფილა კრიზისში, მაგრამ ახლა ყველაზე ცუდი ის არის, რომ უკეთესობის ნიშანწყალიც კი არ ჩანს. „მუსიკოსების“ მთავარმა მწვრთნელმა **რობინ დუტმა** უმუშევრად დარჩენის მოახლოვებული საფრთხე იგრძნო და მკვეთრი ნაბიჯები გადადგა - ფეხბურთელები ორშაბათს აღარ დაასვენა და შეგირდებს დორტმუნდის „ბორუსიასთან“ განსაკუთრებული თავდადება მოსთხოვა. დიდი შანსია, რომ „დორტმუნდთან“ „ვერდერის“ ძირითად შემადგენლობაში პირველად ვიხილოთ ახალწვეული **ობრანიაკი**. დორტმუნდელებმა კი წინა ტურში შვებით ამოისუნთქეს - **იურგენ კლოპის** გუნდმა კრიზისი ბრაუნშვაიგში გამარჯვებით (2:1) დაასრულა. ეს მოგება დიდწილად **პიერ-ემერიკ ობამეიანგის** დამსახურება გახლდათ - ორივე გოლი მის ანგარიშზეა. აქვე შეგახსენებთ, რომ კლოპს **მატს ჰუმელსი** კიდევ ერთხელ დაუშავდა...

### დაუცდება ფეხი ბაიერნს?

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, „ბაიერნთან“ ერთად მეორე წრის საუკეთესო გუნდი ჯერჯერობით „ნიურნბერგია“ - კლუბი, რომელსაც პირველი წრის შემდეგ ერთი მოგებაც კი არ ჰქონდა, სეზონის მეორე ნახევარი კი ზედიზედ ორი გამარჯვებით დაიწყო. როგორც ჩანს, მწვრთნელ **გერტიან ვერბეეკის** შეცვლილმა ტაქტიკამ (აქტიური პრესინგი) შედეგი გამოიღო. თუმცა კაპიტანი **რაფაელ შეფერი** გულშემატკივრებს მოუწოდებს, რომ ეიფორიის დრო არ არის. „ბაიერნის“ ფეხბურთელები ირწმუნებიან, რომ მიუხედავად უდიდესი უპირატესობისა, არ მოდუნდებიან - მათ ყველა თამაშის მოგება უნდათ. შეგახსენებთ, რომ მიუნხენურ გრანდს ბუნდესლიგაში ამ დროისთვის 44-მატჩიანი (!) წაუგებელი სერია აქვს.

8.02. ნიურნბერგი. გრუნდიგ სტადიონი **18:30**

**ნიურნბერგი**

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 +6=0-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 59 თამაში: +11=12-36, (62:107)

**ბაიერნი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მარკოს ანტონიო, პოგატეცი, ბალიჩი, ჰასებე, შტარკი - ბადშტუბერი, შვაინშტაიგერი

## 7 თებერვალი

**გლადბახი-ლევერკუზენი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** კორბი (გლადბახი)
**ტრავმა:** კრუსი (ლევერკუზენი)

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 63 თამაში: +15=25-23, (94:119)

## 8 თებერვალი

**ვოლფსბურგი-მაინცი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** დ. კალიჯური - ნოვესკი
**ტრავმა:** მედოიევიჩი, პოლაკი, ვიეირინია - ფათი, ბაუმგარტლინგერი, დ. შაჰინი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 15 თამაში: +6=4-5, (24:28)

**ვერდერი-დორტმუნდი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** გარსია (ვერდერი)
**ტრავმა:** ფრიტცი, ექიჩი - დურმი, ჰუმელსი, სუბოტიჩი, ბლაშჩიკოვსკი, გიუნდოგანი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 91 თამაში: +39=16-36, (150:136)

**ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰედენსტადი, ფრაისი, ტერაცინო - თესკერი, ვუკჩევიჩი

ბოლო 6 მატჩი

+2=0-4 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 9 თამაში: +3=4-2, (15:13)

**აინტრახტი-ბრაუნშვაიგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჩელოცი, კიტელი, შტენდერა - პერთელი, მ. კალიჯური, ერვიგ-დრიუპელი, კორტე, კრუპკე, იორლი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-4 +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 41 თამაში: +16=7-18, (68:59)

**ჰამბურგი-ჰერტა 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯურუ, მანსიენი, დემირბაი, ბასტერი - ჰოლანდი, ბაუმიოჰანი

ბოლო 6 მატჩი

+0=1-5 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 61 თამაში: +25=13-23, (99:87)

## 9 თებერვალი

**შტუტგარტი-აუგსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** დიდავი, გენტნერი, როხასი - ჰიტცი, ჰოლცჰოიზერი, ექინი

ბოლო 6 მატჩი

+1=0-5 +3=3-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 5 თამაში: +3=0-2, (8:8)

**შალკე-ჰანოვერი 20:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** აოგო, ფუხსი, კირხჰოფი, კლემენსი, დრაქსლერი, ჰიოგერი - ჩერუნდოლო, ფელიპე, პანდერი, ა. ზობიეხი, ია კონანი

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 49 თამაში: +24=10-15, (83:60)

● ამბები

### დაკარგავს შალკე ტალანტს?

18 წლის **მაქს მაიერი** „შალკეს“ ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდა და მიმდინარე სეზონში გელზენკირხენული კლუბის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. სწორედ ამის გამო გაუხანგრძლივეს მას კონტრაქტი 2018 წლამდე, მაგრამ როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, მაიერის ახალ ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ მსურველს მაიერის შეძენა 25.5 მილიონ ევროდ შეუძლია. „ბილდის“ ცნობით, მაიერის გადაბირებით ლონდონის „ჩელსია“ დაინტერესებული.

### ზამერი მეტ აგრესიას ითხოვს

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნმა“ სეზონის მეორე ნახევარიც იდეალურად დაიწყო, მიუნხენური გრანდის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** მაინც არაა ბოლომდე კმაყოფილი. *„ფეხბურთს მართლაც ძალიან კარგად ვთამაშობთ, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. გუნდები უკვე საკმაოდ აგრესიულად გვეთამაშებიან და თუ ჩვენც აგრესიითვე არ ვუპასუხებთ, მომავალში სასურველი შედეგების დაფიქსირება გაგვიჭირდება,“* - აცხადებს ზამერი „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ზამერის თქმით, დაბალ ფეხბურთელებს მეტი სისწრაფე, სიჭკვიანე და სიფხიზლე მოეთხოვებათ - ფაქტია, რომ მათიასი **ფილიპ ლამს, ტიაგო ალკანტარას, ჯერდან შაჩირისა** და **მარიო გიოტცეს** გულისხმობს. გარდა ამისა, ზამერმა ისიც აღნიშნა, რომ მოუთმენლად ელოდება **ბასტიან შვაინშტაიგერის** დაბრუნებას. ცნობისათვის, გუშინ შვაინიმ უკვე გუნდთან ერთად ივარჯიშა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



## სოჭი 2014




თენგიზ გაჩეჩილაძე სოჭიდან

# 50 წუთი... ოლიმპიადამდე

სწორედ ამდენი დრო-50 წუთი დაგვჭირდა საქართველოს დედაქალაქიდან 2014 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქამდე საფრენად. აქვე განვმარტავ, რომ შეიძლება ადლერი უფრო ჩაითვალოს ოლიმპიადის დედაქალაქად, ვიდრე სოჭი. ძირითადი სპორტული ობიექტები, ოლიმპიური სოფელი, სასტუმროები და მთავარი პრესცენტრი ადლერთან უფრო ახლოს.

საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ძირითადი შემადგენლობის თვითმფრინავი გუშინ დილით, ზუსტად ნავარაუდევ დროს აფრინდა თბილისის აეროპორტიდან. დელეგაცია გააცილეს სპორტის მინისტრმა **ლევან ყიფიანმა**, მისმა მოადგილემ **თამაზ თევზაძემ** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **ირაკლი დოლაბერიძემ,** აგრეთვე ქომაგებმა. მზე და ულრუბლო ცა დაგვხვდა ადლერშიც. ოღონდ ეგაა, ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქში 12 გრადუსი სითბო იყო დაფიქსირებული, წინადღეს კი პლუს 21 ყოფილა.

სოჭის აეროპორტში დაშვებისას თვითმფრინავში ცოტა ხანს შეგვაყოვნეს. მერე უნიფორმიანი მამაკაცი რაღაც ოპტიკური ხელსაწყოთი ამოვიდა სალონში და თითოეული მგზავრი დააფიქსირა. ჩემს გვერდით მჯდომმა ასაკოვანმა აფხაზმა რუსულად ჰკითხა, ამხანაგო გენერალო, რა აპარატია და რას აფიქსირებთო. - ვიდეოთერმომეტრიაო, უპასუხა. მერე თავაზიანად დასძინა, აი, თქვენი ტემპერატურა ახლა 36,7 გრადუსიაო, შემდეგ ხელსაწყო ჩემსკენ მომართა და მითხრა - თქვენი, 36,2. ვერ გეტყვით, რამდენად გულწრფელი იყო „გენერალი", მაგრამ უსაფრთხოებისთვის დასაშვებია ლეგენდებიც კი. დასაშვებია თუნდაც ისიც, რომ ტრაპიდან ჩასვლისასაც ყველა ვიდეოზე გადაგვიღეს. რაც პირველ დღეს ვნახეთ, წესრიგის დამცველები ყველგან არიან, დავინახეთ ცხენებზე ამხედრებული მილიციელებიც კი.

გუშინვე ოლიმპიურ სოფელში 14 საათზე დანიშნული იყო საქართველოს დროშის აღმართვა და რეგისტრაცია-აკრედიტაციის შემდეგ დელეგაციის სრული შემადგენლობა ამ ღონისძიებამდე ერთი საათით ადრე შევიკრიბეთ ოლიმპიურ სოფელში. სხვათა შორის, ჩვენი სამთო-მოთხილამურეები არა ამ სოფელში, არამედ მთაში, იქ, სადაც მათი ტრასებია განთავსებული, მეორე ოლიმპიურ სოფელში ცხოვრობენ. ასე იყო ვანკუვერშიც. დროშის აღმართვის ცერემონიალი დიდხანს არ გაგრძელებულა, მით უფრო, რომ ჩვენ შემდეგ ჩინელები და ფინელები იდგნენ რიგში.

ის იყო, ჩვენები საზეიმო ზონიდან გამოვიდნენ, რომ სად იყო და სად არა, რუსეთის კომუნისტების ლიდერი გენადი ზიუგანოვი გაჩნდა, მკვირცხლად შეიჭრა ქართველებთან და გაბრწყინებული სახით ჩამოართვა ყველას ხელი. ვფიქრობ, პროვოკაციად ეს ფაქტი არ ჩაითვლება.

სადაც კი გაიხედავ, ქალაქში ისევ მიმდინარეობს სამუშაოები. იგივე ითქმის ჟურნალისტთა საცხოვრებელ კორპუსებზე, რომელიც ოლიმპიური პარკის სიახლოვესაა. იქ, სადაც ჩვენ შეგვასახლეს, სხვა რომ არაფერი, ოთახიც კი არ დაგვხვდა დალაგებული, იქვე აბაზანაში შიგნიდან კარების გასაღები ჩაიშალა. მხოლოდ ხელოსნების გამოძახების შემდეგ განიმუხტა სიტუაცია, მაგრამ უკვე 35 წუთი დრო იყო გასული და სამედიცინო პერსონალის გამოძახებაც გახდა საჭირო. სხვები სხვა ნაკლოვანებებზეც ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ ის დავწერეთ, რაც თავად ვნახეთ და განვიცადეთ.

დღეს ოლიმპიადა საზეიმოდ გაიხსნება. ვნახოთ, რა გამოხმაურება მოჰყვება სოჭის ოლიმპიადის პირველი დღეების „სანაქებო" მასპინძლობას.

*სოჭის ოლიმპიადაზე „ლელოს" ცხელი ხაზის ტელეფონია: +7938 43 99 565.*


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## თავისუფალი ჭიდაობა. ტახტის თასი



# კურტანიძე ტახტზე ვერ ავიდა

წარუმატებელი გამოდგა **ლუკა კურტანიძის** (97) სპორტში დაბრუნების მცდელობა - თეირანში დღეს დაწყებულ „ტახტის თასზე" ჩვენებური პირველივე წრეში 10:12 დამარცხდა თურქ **ალი ბანციოღლუსთან.** მოგეხსენებათ, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა, ევროპის ხუთგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ორგზის ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანმა სამწლიანი შესვენების შემდეგ 41 წლის ასაკში გადაწყვიტა სპორტში დაბრუნება და ამ ტურნირისთვის ნაკრებთან ერთად მოსამზადებელი შეკრებაც გაიარა. ირანული სააგენტოები აღნიშნავენ, რომ მან ტექნიკურად იჭიდავა, ესთეტიკურად ანუ მაყურებლისთვის და არა შედეგზე, რამაც განაპირობა ბევრი ქულის დაკარგვა. სამაგიეროდ, თვითონაც გვარიანი ქულები დააგროვა და მაყურებლის დიდი სიმპათია დაიმსახურა.

ირანულმა პუბლიკამაც, რომელიც ჭიდაობის ავან-ჩავანში შესანიშნავად ერკვევა, მხურვალე ოვაცია მოუწყო ჩვენებურს. შეხვედრის შემდეგ ლეიბზე თვით იქაურთა ცოცხალი ლეგენდა, ეროვნული ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **რასულ ხადემიც** შევიდა მისასალმებლად. ისინი ერთ პერიოდში ჭიდაობდნენ, ხადემი პერიოდულად კურტანიძის წონაშიც გამოდიოდა და სპორტსმენობიდანვე კარგად იცნობენ ერთმანეთს. ხადემმაც და სხვა ცნობილმა ირანელმა მოჭიდავეებმა დიდი პატივი მიაგეს კურტანიძეს.

ჩვენი ნაკრების გუშინდელი მონაგარი 2 მედალია – თითო ვერცხლ-ბრინჯაო. მეორე ადგილზე **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (65) გავიდა, მესამეზე – **დაჩი ქერაშვილი** (97). ხაბალაშვილმა თავდაპირველად ყირგიზი **ალმაზ ომურზაკოვი** დაამარცხა, მერე ირანელ **ფარზად კოლივანდის** 15:4 სძლია, ნახევარფინალში ისევ მასპინძელ **ებრახიმ ნასირიაფჩალის** 10:9 სძლია, ფინალში კი 0:10 წააგო კიდევ ერთ ირანელთან, **მაისამ ნასირთან.**

ქერაშვილმა რუმინელ ულად კარასისთან და თურქ **ფატიჰ დოგულთან** გამარჯვების შემდეგ ნახევარფინალში ირანელთა მომავალ ჩემპიონ **ხამიდ ტალებისთან** წააგო, დამამშვიდებლის ფინალში კი ყირგიზ **მაგომედ მუსაევს** მოუგო.

გუშინ პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ ჩვენი გუნდის სხვა მონაწილეები - **ბექა ბუჯიაშვილმა** (57) ირანელ **ვაჰიდ ჯალალიბაჰართან** წააგო, ამავე წონაში **ლევან ცალქალამანიძე** ყაზახ **ახმატ ბაიმურატოვთან** დამარცხდა, **ლაშა ტალახაძე** - ასევე ყაზახ **ნაიზაბეკოვთან, ოთარ გოგავამ** ირანელ **ფარჰად ჯალაეის** კი მოუგო, მაგრამ მერე მომავალ ჩემპიონთან, ჩრდილოკორეელ მსოფლიოს ჩემპიონ **კიონგ იანგთან** დათმო. **იაკობ მაქარაშვილმა** (75) მასპინძელ **იმან მოჰამადიანთან** წააგო.

**ირაკლი თავაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

# ტიტული შეინარჩუნა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა 73-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 11 მამაკაცი და ერთი ქალი მონაწილეობდა. ბოლო ტურებში ერთპიროვნულად ლიდერობდა 2013 წლის საქართველოს ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი **გაიოზ ნიგალიძე,** რომელიც გუშინ **კონსტანტინე შანავას** დაუზავდა, 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა და ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა დიდოსტატი **მერაბ გაგუნაშვილი,** რომელმაც **ლუკა პაიჭაძესთან** გაიყო ქულა. **თორნიკე სანიკიძემ** შავი ფიგურებით **დავით ბენიძეს** აჯობა და 7.5 ქულით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მე-11 ტურის დანარჩენ პარტიებში **სოფიო გვეტაძემ ალექსანდრე ყაშაშვილი** დაამარცხა, ხოლო **ივერი ჭიღლაძემ მიხეილ მჭედლიშვილი. ლევან ფანცულაია - დავით ჯოჯუა** დაზავდნენ.

საბოლოოდ 73-ე ეროვნულ ჩემპიონატში ადგილები ასე განაწილდა: ნიგალიძე - 8.5, გაგუნაშვილი - 8, სანიკიძე - 7.5, ჯოჯუა - 7, ფანცულაია - 6.5, მჭედლიშვილი - 5.5, შანავა - 5.5, პაიჭაძე - 4.5, გვეტაძე - 4, ყაშაშვილი - 4, ბენიძე - 3, ჭიღლაძე - 2 ქულა.

**ვაჟა დანელია**

# მეოთხე ადგილს დასჯერდა

ორი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობდა გიბრალტარის საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში, რომელიც გუშინ დასრულდა. ბოლო ორი ტურის წინ ქალებში **ლელა ჯავახიშვილი** მეწინავეობდა, მაგრამ ორ გადამწყვეტ პარტიაში მხოლოდ ნახევარი ქულა მოაგროვა (გუშინ ჩინელ ლი ჩაოსთან დამარცხდა), საბოლოოდ 10 შესაძლებლიდან 6.5 ქულას მოუყარა თავი, რაც მხოლოდ მე-4 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. 77 ქულით პირველი-მესამე ადგილები მარია მუზიჩუკმა (უკრაინა), ჟაო სიუემ (ჩინეთი) და ნატალია ჟუკოვამ (უკრაინა) გაინაწილეს. **ბელა ხოტენაშვილი** ნიკო გეორგიადისს შეუთანხმდა ყაიმზე და 6 ქულით 64-ე ადგილზე გავიდა.

რაც შეეხება მთავარი პრიზის მფლობელს, მისი ვინაობა გვიან ღამით გახდებოდა ცნობილი, რადგან ერთპიროვნული ლიდერი ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) მაქსიმ ვაშიე-ლაგრავს (საფრანგეთი) დაუზავდა, ივან ჩეპარინოვმა (ბულგარეთი) გატა კამსკის (აშშ) სძლია, ხოლო ნიკიტა ვიტიუგოვმა (რუსეთი) ჟაო სიუეს (ჩინეთი) მოუგო. ამდენად, ივანჩუკს, ჩეპარინოვსა და ვიტიუგოვს 88 ქულით პირველი-მესამე ადგილები ხვდათ. ფესტივალის დებულებით, პირველი პრიზის გაყოფა არ შეიძლება, ამიტომ მათ შორის უძლიერესი ტაი ბრეიკებს უნდა გამოევლინა.

**ვაჟა დანელია**

## წყალბურთი

# აზიის ჩემპიონმა გუშინაც გვაჯობა

უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება წყალბურთში აზიის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატისა და ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ყაზახეთის ნაკრები, რომელმაც „ოლიმპიკის" აუზში საქართველოს ეროვნულ გუნდთან ამხანაგური შეხვედრებიც გამართა. წინა ორი პაექრობის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო, გუშინ კი სტუმრებმა მასპინძლები დაძაბულ ორთაბრძოლაში მეორედ დაამარცხეს 12:11 (3:2, 1:4, 5:3, 3:2). საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ჭუმბურიძე, ქენქაძე, ცრეპულია (2), რუსიშვილი, ლაითაძე, ხვედელიანი (1), ჩომახიძე (2), ბაღათურია (1), რურუა (1), გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი (3), ქავთარაძე (1), კაპანაძე ( მწვრთნელები ვლადიმერ ისელიძე, იოვან პოპოვიჩი). აზიელთაგან გოლები გაიტანეს: გუბარევმა (5), ფილიპენკომ (1), უშაკოვმა (3), რუდაიმ(1), მანაფოვმა (1) და პეკოვიჩმა (1).

საქართველოს ნაკრები „ოლიმპიკში" განაგრძობს წვრთნას, სადაც 15 თებერვალს ევროპის ჩემპიონატის საპლეიოფო მატჩში თურქეთის გუნდს შეხვდება.

**ვაჟა დანელია**

## მშვილდოსნობა. მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატი


ხათუნა ნარიმანიძე

# უცნაური რეალობა

### აქცენტი ქალებიდან ბიჭებზე გადადის

საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციამ გაარკვია იმ სპორტსმენთა ვინაობა, რომლებიც 25 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით ფრანგულ ნიმში გასამართ მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატში გამოვლენ. მწვრთნელთა საბჭომ ერთი შეხედვით უცნაური გადაწყვეტილება მიიღო – ძირითადი აქცენტი 20-წლამდელ ბიჭებზე გააკეთა, ქართული მშვილდოსნობის ლოკომოტივად ქცეული ქალთა ნაკრები კი მხოლოდ ერთი მონაწილით იქნება წარმოდგენილი. თან, სახლში რჩება მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა!**

ქალთა ტურნირში ჩვენგან მხოლოდ **ხათუნა ნარიმანიძე** გამოვა, ვაჟთა ნაკრებში კი **ლაშა ფხაკაძე, ჯაბა მოსეშვილი** და **ზურაბ მესტვირიშვილი** შევიდნენ, ოღონდ ესენი ახალგაზრდების ტურნირში ისვრიან და არა უფროსებში. გადაწყვეტილება უცნაური კი ჩანს, მაგრამ ეს კვარტეტი 24-26 იანვარს ხელვაჩაურში გამართული საქართველოს ზამთრის პირველობის შედეგებით შეარჩიეს. მოგეხსენებათ, მშვილდოსნობის ფედერაციამ ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად თუ შეკრებაზე წასასვლელად კვოტები დააწესა და ახლაც გადაწყვიტეს, მტკიცედ დაეცვათ საკუთარივე კანონი.

დაწესებული კვოტა ამ ოთხეულმა შეასრულა, ან მიუახლოვდა მას. მაგალითად, ნარიმანიძეს ერთადერთი ქულა დააკლდა, მესტვირიშვილს – ორი, თუმცა ამისთვის ისინი არ დაუსჯიათ. აი, ფხაკაძემ და მოსეშვილმა კი შეასრულეს ნორმატივები. საერთოდ, იმ ტურნირზე პირველად მოხდა, ვაჟებმა ქალებს რომ გაუსწრეს შედეგებით. ხელვაჩაურში მესტვირიშვილს მასპინძელმა **მამუკა შუშაძემ** ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში კი აჯობა, მაგრამ მესტვირიშვილს უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა სასტარტოში და ნაკრებში ამიტომ შეიყვანეს. ვგონებთ, ფედერაცია სწორად მოიქცა, როცა მას შანსი მისცა – სავარაუდოდ, ეს ახალგაზრდა სპორტსმენისთვის დიდი სტიმული იქნება.

ჩვენი ნაკრები საფრანგეთში 23 თებერვალს გაფრინდება, დღეს კი 14-კაციანი გუნდი – 7-7 ქალი და ვაჟი მწვრთნელების, თამაზ ფუტკარაძისა და გია მაკიევის მეთვალყურეობით ურეკში გაემგზავრება, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ შეკრებას გაივლის... როგორც გითხარით, ესაა ზამთრის პირველობა, რომელსაც დარბაზის ჩემპიონატსაც უწოდებენ, რადგან დახურულ სივრცეში ტარდება, 18-მეტრიან დისტანციაზე. ნიმში გუნდის მწვრთნელი მაკიევი იქნება. ცოტა უცნაური შემთხვევაა, რომ ქალთა ნაკრები მხოლოდ ერთი მონაწილით იქნება წარმოდგენილი. დაბალი სასტარტო შედეგების მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ გუნდურში ჩვენებს მაინც შეუძლიათ სიურპრიზების შემოთავაზება, თუმცა, ალბათ, მწვრთნელთა საბჭოც მართალია, როცა დაწესებულ შიდაგანაწესს არ გადაუხვია.

**ირაკლი თავაძე**

## ჩოგბურთი

# თურქეთსა და საფრანგეთში

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) წარმატებით განაგრძობენ ასპარეზობას **ეკატერინე გორგოძე** და **სოფიო ქვაცაბაია.** გუშინ მათ მეორე წრის ორთაბრძოლები მოიგეს: ქვაცაბაიამ გერმანელ ქრისტინა შაკოვეცს აჯობა 7:5, 6:3 და მეოთხედფინალში მესამე ნომრად განთესილ ალიონა სოტნიკოვას (უკრაინა) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა თანამემამულე ალიონა ფომინა ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 7:6. ტურნირის მეორე ნომერმა გორგოძემ ვიქტორია მუნტეანი (საფრანგეთი) დაჯაბნა 6:3, 6:1 და დღეს კვალიფიკაციიდან აღზევებულ ლიზა პონიმართან (გერმანია) გაარკვევს ურთიერთობას. ალემანმა გუშინ მე-7 ნომერი ირინა-მარია ბარა (რუმინეთი) დაამარცხა 4:6, 6:4, 7:6. სამაგიეროდ, ბარა, გოროძესთან შეამხანაგებული, წყვილებში ლიზა-მარი მაეტჩკესა და შტეფანი შტემერის (ორივე - გერმანია) დუეტის ძლევით (6:4, 6:3) ნახევარფინალში გავიდა, სადაც ქართულ-რუმინულ ტანდემს ლაურა-იონა ანდრეა (რუმინეთი) და სვიატლანა პირაჟენკა (ბელარუსი) შეხვდებიან. მეორე ნახევარფინალში ალიონა ფომინა, ქრისტინა შაკოვეცი და ანიტა ჰუსარიჩი (ბოსნია), ალიონა სოტნიკოვა ითამაშებენ.

▪▪▪

გრენობლის 25.000-იანი ტურნირის მე-2 წრეში სოფიო შაფათავა ჯულია გატო-მონტიკონესთან (იტალია) დამარცხდა 6:3, 4:6, 4:6. სამაგიეროდ, ჩვენებური წყვილებს შემორჩა ანასტასია ვასილიევასთან ერთად (უკრაინა) ნახევარფინალშია და მეტოქეს ელოდება.

**ვაჟა დანელია**


სოფიო ქვაცაბაია

## ინტერვიუ ბექა ღვინიაშვილთან

# ფილტვების ანთებით მოგებული მსოფლიო

**ახალგაზრდა და უკვე საკმაოდ ტიტულოვანი გორელი ძიუდოისტი ბექა ღვინიაშვილი გულშემატკივართათვის ცნობილი სპორტსმენია. ორი წლის წინათ მან ჭაბუკთა შორის ასპარეზობისას ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოიგო, სადაც იასპარეზა. მერე გადატანილმა ოპერაციამ, სარეაბილიტაციო პერიოდმა და წონის შეცვლამ (81–დან 90 კგ-ში აინაცვლა) ერთი სეზონის ჩავარდნა გამოიწვია. ფიზიკურად ძლიერი და ეფექტურად მოასპარეზე 2013 წელს კვლავ ვიხილეთ ევროპის და მსოფლიოს კვარცხლბეკების უმაღლეს საფეხურზე, ოღონდ ამჯერად ახალგაზრდებს შორის. სპეციალისტები ამ ფალავანს მომავალში დიდებშიც წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ. ბექას „ლელოს" მკითხველებისათვის განვლილი სეზონის შეჯამება ვთხოვეთ.**

**- დავიწყოთ საქართველოს ნაკრებში შარშანდელი სეზონის სტარტიდანვე შენსა და ლაშა ტაველურს შორის ძლიერი შიდა კონკურენციით. ჯერ სალონიკის ტურნირის ფინალში შეხვდით ერთმანეთს, შემდეგ ბერლინში.**

- სალონიკში ორივემ დამაჯერებლად გავიარეთ ფინალამდე, სადაც ლაშამ მომიგო. შიდოთი ვიყავი დაწინაურებული, მაგრამ შემდეგ ჩემივე წამოწყებული ფანდი დამიხურა და დავეცი. ბერლინის ევროპის თასზეც ორივემ ყველა კონკურენტს დამაჯერებლად ვაჯობეთ და იქაც ფინალში გავედით. მე იქ წაგების უფლება არ მქონდა - ნაკრებში ადგილს დავკარგავდი, ვერც ევროპის ჩემპიონატს ვიჭიდავებდი, ვერც მსოფლიოს. რევანში შედგა და მწვრთნელებმა ჩვენს წონაში ორივე დაგვაყენეს. წლის უმთავრეს შეჯიბრებებზე ჩემპიონობით კი პირველობა დავამტკიცე. ტაველური საკმაოდ ჭკვიანი მოჭიდავეა, ფიზიკურად ძლიერია, კარგი ჩავლებაც აქვს და ფანდების მრავალფეროვანი არსენალიც.

**- ბერლინის შემდეგ გრძნობდი, რომ უმთავრესი შეჯიბრებებისთვის სათანადოდ იყავი მომზადებული?**

- აბსოლუტურად მზად ვიყავი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე საჭიდაოდ. განწყობაც საჩემპიონო მქონდა და მჯეროდა, რომ არც ერთი ეს შეჯიბრება არ უნდა წამეგო. საბედნიეროდ, ასეც მოხდა!

**- ევროპის ჩემპიონატზე როგორ მიხვედი ოქროს მედლამდე?**

- თავიდან სამ შეხვედრაში ნამდვილად არ გამჭირვებია. უფრო წინააღმდეგობა პორტუგალიელმა ცელიო დიასმა გამიწია, თუმცა მაინც ორი ვაზარით დავამარცხე. ფინალში კი ჰოლანდიელ ქორელისთან ჯერ დავწინაურდი, შემდეგ შებოჭვით მოვუღე ბოლო.

**- ლოგიკურად, მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო გამარჯვება, თუმცა ვინც თვალი ადევნა შენს ჭიდაობას, დამეთანხმება, რომ დიდად არც იქ გაგჭირვებია.**

- მგონი მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო ადვილად გავიმარჯვე, ვიდრე ევროპაზე. სხვათა შორის, ორი წლის წინათაც დაახლოებით ასე მოხდა, როცა ჯერ ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატზე, მიუხედავად გამარჯვებისა, მეტი შეცდომები დავუშვი, ვიდრე შემდეგ ოლიმპიურ ფესტივალზე და მსოფლიოს ჩემპიონატზე. ეს იმიტომ, რომ გამოცდილებაც მემატება და უკეთეს ფორმაში შევდივარ ხოლმე.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინადღეს ნაკრების მწვრთნელმა გიგა გუგავამ ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ შენ სიცხიანი იყავი, თუმცა მაინც ოქროს მოპოვების უმთავრეს კანდიდატად მიგიჩნევდა.**

- მწვრთნელს ვეუბნებოდი, რომ უბრალოდ, დაბალი სიცხე მქონდა და ექიმთან არ მივდიოდი. სლოვენიაშიც უშუალოდ შეჯიბრებაზე კი ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ შევძელი ძალების კონცენტრირება და მიზანს მივაღწიე. მომდევნო დღეს გუნდურ პირველობაზე გამოსვლა აღარ მინდოდა - მეტისმეტად შეუძლოდ ვგრძნობდი თავს. მაინც ვიჭიდავე, ყველა შეხვედრა მოვიგე და საქართველოს ნაკრების გუნდურ პირველობაში გამარჯვებაში წვლილი შევიტანე! მეორე დღეს, საქართველოში რომ ჩამოვედი მაშინვე ექიმს მივაკითხე და აღმოჩნდა, რომ ფილტვების ანთება მქონია.

**- ახალგაზრდების გუნდური პირველობა წლეულს პირველად ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მოგეწონა?**



- სიმართლე გითხრათ, გუნდურ პირველობაში ჩემპიონობა უფრო გამიხარდა, ვიდრე ინდივიდუალურში. იმიტომ, რომ აქ ყველა ერთ მუშტად ვიყავით შეკრული და საკუთარი შედეგით ფაქტობრივად ერთმანეთს ზურგს ვუმაგრებდით. ასეთ დროს კი თავის დაზოგვა არ შეიძლება და გამარჯვებაც გაცილებით ძვირფასია!

**- როგორი სტილის მოჭიდავეებთან უფრო მოგწონს შერკინება?**

- შემტევი სტილის სპორტსმენებთან, ასეთები კი აზიელები არიან. ევროპელები ძალიან ფრთხილად და ჩაშლაზე ეჭიდავებიან მეტოქეს. არ, არსებობს, აზიელი მოწინააღმდეგე წელში მოხრილი წამოვიდეს და ძიძგილაობა დაიწყოს. ისინი გამართულად, მე ვიტყოდი ვაჟკაცურად მოდიან და სასიამოვნოა ასეთ მოწინააღმდეგესთან პაექრობა.

**- თვითონ ძალიან ხშირად დროზე ადრე იგებ შეხვედრებს. დროზე ადრე მოგებაზე გამიზნულად აკეთებ აქცენტს?**

- მართლაც ძალიან იშვიათია, რომ შეხვედრა ბოლომდე მივიყვანო, ბრძოლის ჟინით სავსე გავდივარ ტატამზე და ალბათ ამიტომ ნაადრევად ვიმარჯვებ, თორემ წინასწარ არ ვგეგმავ, რომ მაინცდამაინც მცირე დროში უნდა მოვიგო.

**- რომელი ცნობილი ძიუდოისტის ჭიდაობას შეადარებ შენს სტილს, ან ვინმე თუ არის ისეთი, ვისაც გინდა რომ მიჰბაძო?**

- გამიჭირდება პასუხი. არასოდეს მიცდია ვინმესთვის მიმებაძა, ისე კი ჩემი ჭიდაობა ალბათ უფრო ჯარჯი ზვიადაურის სტილთანაა ახლოს.

**- ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტურ ფალავანობაში ტიტულის მოპოვებამდე სულ ცოტა დაგაკლდა.**

- გამოსვლას არ ვგეგმავდი. მირჩიეს და მეც წინადღეს გადავწყვიტე. 90 კგ წონით კატეგორიაში გავიმარჯვე, მაგრამ აბსოლუტურ ფალავნობაზე ნახევარფინალში ქულით წავაგე გიორგი ნოზაძესთან. ეს შეხვედრა არ იყო წასაგები, მოწინააღმდეგემ დაწინაურების შემდეგ ყველაფერი გააკეთა დროის გასაყვანად და საიმისოდ, რომ საჭიდაო რიტმიდან ამოვვარდნილიყავი, შედეგად მესამე ადგილი მერგო. ფალავნობა ისეთი შეჯიბრებაა, რომ ამ ტიტულის მოპოვებას მომავალში აუცილებლად შევეცდები. შარშან ფალავანი, იცით, მაინც ჩვენი გვარის წარმომადგენელი გახდა - ჩემი ბიძაშვილი და თანასოფლელი (რუისი) პაატა ღვინიაშვილი. ის ნამდვილად ღირსი იყო ამ გამარჯვების, პაატა ძალიან კარგად ჭიდაობს ქართულს და ყველგან, სადაც გაიგებს, რომ შეჯიბრება ტარდება, აუცილებლად მიდის მონაწილეობის მისაღებად.

**- შენს მწვრთნელებზე რას გვეტყვი?**

- ჩემი პირადი მწვრთნელები ანზორ თენაძე და ნიკო ბიბილაშვილი არიან. მათ დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს სპორტსმენად აღზრდასა და დაოსტატებაში. დიდი მადლობელი ვარ ჭაბუკთა ნაკრებში ასპარეზობის დროს გიორგი ვაზაგაშვილის, ისევე როგორც ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის გია გუგავასი, რომელიც აგრეთვე საკმაოდ მაღალკვალიფიციური მწვრთნელია, კარგად ხელეწიფება შეჯიბრების წინ სპორტსმენის საბრძოლოდ განწყობა. წლეულს ჩემ მიერ მოპოვებულ ტიტულებში დიდი როლი ითამაშეს როგორც პირადმა მწვრთნელებმა, ისე ნაკრების თავკაცმა. არც ერთ მწვრთნელს, ვისაც ჩემზე ამაგი მიუძღვის არ დავუვიწყებ ნაღვაწს და შევეცდები უფრო დიდი გამარჯვებებით ვასახელო.

**- შარშანდელი სეზონის ბოლოს ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ლისაბონის „სპორტინგის" ღირსებას იცავდი.**

- ლისაბონელებმა მე და მატიაშვილი აგვიყვანეს გუნდში ამ შეჯიბრებისთვის. სიმართლე გითხრათ, „სპორტინგი" სუსტი გუნდი იყო, ამას არც თავად უარყოფდნენ, თუმცა ქართველების დახმარებით პირველ ეტაპზე თურქული „გალათასარაის" (საკმაოდ ძლიერი კლუბის) ბარიერის გადალახვა შევძელით. ოღონდ „სპორტინგისთვის" ეს მაქსიმუმი აღმოჩნდა. შეჯიბრება კი გერმანულმა „აბენსბერგმა" მოიგო. მინდა გითხრათ, რომ საკლუბო ჩემპიონატი საინტერესო შეჯიბრებაა და ჩვენი ქვეყნის მასშტაბითაც რომ გაიმართოს, ძალიან ბევრი ქართველი ძიუდოისტის დონის ამაღლებას, მათ მატერიალურ კეთილდღეობას (განსაკუთრებით, ვინც ნაკრებში ვერ ხვდება) სასიკეთოდ წაადგებოდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ფედერაციაში ამ მიმართულებითაც მიმდინარეობს მუშაობა.

▪▪▪

საკუთარი შეგირდის შეფასება პირად მწვრთნელს **ანზორ თენაძესაც** ვთხოვეთ. „ბექა შემტევის სტილით გამოირჩევა, სასიამოვნოა მისი ჭიდაობის ყურება. მწვრთნელი თუ მაყურებელი ყოველთვის კმაყოფილი რჩება. იყო დრო (ორი წლის წინათ) იგი ზედმეტადაც ფიქრობდა ეფექტურ გდებებზე, რის გამოც ერთი-ორჯერ წაგებული შეხვედრებით დაისაჯა. ამაზე მწვრთნელებმაც გავამახვილეთ ყურადღება, დავარიგეთ, ავუხსენით, რომ ლამაზად ჭიდაობასთან ერთად საჭიროა გარკვეული დოზით პრაგმატიზმი, ყველასთვის აუცილებელია, მოწინააღმდეგე შეაფასოს და მასთან პაექრობას შესაბამისად მიუდგეს. ეს ბექამ ზუსტად გაითვალისწინა და შედეგზეც ასახა. აუცილებელი იყო აგრეთვე მისი წონის გამოცვლა და 81-დან 90 კგ-ში გადასვლა. ასე რომ არა, წონის გამუდმებული კლებით ბექა დაიტანჯავდა ორგანიზმს. ამ უაღრესად პერსპექტიულ ფალავანს მრავალი დიდი შეჯიბრება წინ ელის. ის მეტად შრომისმოყვარე, დადებითი პიროვნებაა. დარწმუნებული ვართ ყველა, რომ ბექა ღვინიაშვილი კიდევ ბევრი და მაღალი გამარჯვებით გაამდიდრებს მონაპოვარს, ასახელებს სამშობლოს" - გვითხრა ანზორ თენაძემ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. ერთა თასი



# სალოზუშო რაზმი ცნობილია

**საქართველოს ნაკრები ხვალ, ლისაბონში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ერთა თასის მეორე ტურის შეხვედრისთვის, რომელიც იმავდროულად 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპიცაა, „ბორჯღალოსნები" ორშაბათიდან ადგილზე ემზადებიან. დღეს ჩვენი მორაგბეები უნივერსიტეტის სტადიონზე კაპიტნის ვარჯიშს გამართავენ.**

იქამდე კი **მილტონ ჰეიგმა** საბრძოლო რაზმი დაასახელა, რომელშიც რამდენიმე ცვლილებაა. ტრავმირებული **დავით ქუბრიაშვილის** ნაცვლად მან **ანტონ ფეიქრიშვილი** იხმო, რომელიც თადარიგში დაიკავებს ადგილს. ძირითადი შერკინების მარჯვენა ბურჯი კი **ლევან ჩილაჩავა** იქნება. ადგილები გაცვალეს შერკინების კვაჭებმა **ჯაბა ბრეგვაძემ** და **შალვა მამუკაშვილმა.** ამჯერად, ძირითადში მამუკაშვილი ითამაშებს.

განაცხადში არ არის მესამეხაზელი **გიორგი თხილაიშვილი.** ძირითადში მის პოზიციაზე ვიქტორ კოლელიშვილი ითამაშებს, თადარიგში **შალვა სუთიაშვილი** იქნება, რომელსაც ბელგიასთან არ უთამაშია.

შეცვლა მოხდა უკანა ხაზშიც. ჰეიგმა შუამარბ **მერაბ შარიქაძის** დასვენება გადაწყვიტა. ახალგაზრდა მორაგბის ნაცვლად გამოცდილი **თედო ზიბზიბაძე** იასპარეზებს, რომელიც პირველ მატჩს ტრავმის გამო დააკლდა.

ამასობაში, ერთა თასის გათამაშებაში ჩვენი გუნდის თამაშის მიზანშეუწონლობის თაობაზე უკვე ბევრი ალაპარაკდა. ნოემბრის ტესტების დასრულებისთანავე „ლელოსთან" ინტერვიუში რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელმა მარკ იგანმა პირველმა განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრები ერთა თასისთვის გადაიზარდა.

ახლახან კი, ექვსი ერის გათამაშების პირველი ტურის შედეგების შეჯამებისას, ტელეკომპანია SKY TV-ზე საინტერესო დიალოგი შედგა, რომელიც ძირითადად საქართველოს ნაკრებს უკავშირდებოდა. გადაცემაში წამყვანთან ერთად ირლანდიური რაგბის ლეგენდა, „სამყურების" ყოფილი კვაჭი **ქის ვუდი** და შოტლანდიის ნაკრების ცხრა ნომერი **ენდი ნიკოლი** მონაწილეობდნენ. აი, დაახლოებით რაზე ისაუბრეს მათ:

**წამყვანი:**

იტალიელები ალბათ გულდაწყვეტილი იქნებიან ხელიდან გაშვებული რამდენიმე შანსის გამო. ირლანდიამ სრულიად დამსახურებულად დაამარცხა შოტლანდია. რამდენად განსხვავებული დამოკიდებულება ექნებოდათ იტალიას და შოტლანდიას ექვსი ერის გუნდებსა და მეორე დონის ნაკრებებს შორის გავარდნა-ალზევება რომ იყოს?

**ენდი ნიკოლი:**

ვფიქრობ, ღირებული შენიშვნაა. რამდენიმე მზარდი გუნდია პორტუგალია, ესპანეთი, რუმინეთი...

**წამყვანი:**

საქართველო!

**ენდი ნიკოლი:**

დიახ საქართველო... არ ვიცი, არ მგონია, რომ ისინი ჯერ... მგონია, რომ პროდუქტი უნდა გაუმჯობესდეს, როცა იტალია დაემატა ხუთ ერს, შეჯიბრება გაუმჯობესდა. არ მგონია, რომ გავარდნა-ალზევების შემთხვევაში იგივე დადებითი ეფექტი გვქონდეს

**ქის ვუდი:** მე მინდა... ვინაიდან საქართველო ძალიან შთამბეჭდავად გამოვიდა მსოფლიოს თასზე.

**წამყვანი:**

...და ძალიან ბევრი ქართველი საფრანგეთში თამაშობს.

**ქის ვუდი:**

მინდა, რომ უფრო ხშირად ეთამაშონ ამ ბიჭებს. თუმცა ეს როგორ უნდა მოხდეს, არ ვიცი. მე არ ვარ გავარდნა-ალზევების მომხრე, მაგრამ ვფიქრობ, რომ საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, იქნებიან თუ არა შოტლანდიელი და იტალიელი მორაგბეები წნეხის ქვეშ იმის ფიქრით, რომ შეიძლება ექვსი ერის გათამაშებაში აღარ იყვნენ? არ მგონია, რომ ეს მძიმე ტვირთი იქნება, მაგრამ ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ მონაწილეობენ კონკრეტულად ეს ქვეყნები.

**წამყვანი:**

მაშინ წინა წელს საფრანგეთი უნდა გავარდნილიყო.

**ქის ვუდი:**

დიახ. საფრანგეთი გავარდებოდა, მაგრამ ძალიან მინდა საქართველოს ნახვა ამ გუნდების წინააღმდეგ.

**ენდი ნიკოლი:**

ანუ საკითხი ასე დგას: შეიძლება თუ არა, რომ პირველი დონის ქვეყნებმა უფრო ხშირად ითამაშონ მეორე ეშელონის ქვეყნებთან, რათა ეს უკანასკნელი განვითარდნენ? პასუხი ერთმნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა - დიახ. მაგრამ არ ვიცი რაგბის კალენდარში ეს როგორ აისახება.

**ქის ვუდი:**

ექვს ერში დამატებამდე ჩვენ იტალიას ვეთამაშებოდით ყოველწლიურად, მათ ჩვენ სამჯერ დაგვამარცხეს.

**წამყვანი:**

ისიც აღსანიშნავია, რომ დიდ ბიჭებს ძალიან არ სურთ ნოემბრის ტესტებზე ერთზე მეტი თამაში მეორე ეშელონის გუნდებთან და, იმასაც, ხანდახან, დიდი ძალდატანებით აკეთებენ, ვინაიდან, სურთ დიდებთან თამაში, რასაც ფული მოაქვს. საერთოდ, არანაირი პასუხისმგებლობა არ ჩანს ელიტარული გუნდებისგან მეორე ეშელონის გასავითარებლად.

**ქის ვუდი:**

მაგრამ სწორედაც რომ ასეთი სურვილი იყო იტალიის შემთხვევაში სანამ ხუთ ერს დაემატებოდნენ. იტალია უფრო მეტჯერ თამაშობდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა და სწორედ ასეთი ხშირი თამაშის შედეგად ითქვა, რომ ესენი საკმარისად კარგები არიან, რათა დაემატონ ხუთ ერს. ვინ არის მეორე ეშელონის საუკეთესო წარმომადგენელი? ეს საქართველოა. მაშინ ისინი უნდა თამაშობდნენ 1 ან 2 მატჩს ნოემბრის ტესტებზე.

**ენდი ნიკოლი:**

ახალი ზელანდია არასოდეს ჩასულა ტონგაში, სამოასა და ფიჯიზე. არასოდეს უთამაშია მათთან სტუმრად.

**წამყვანი:**

ზუსტად ეგ კითხვა დავუსვი ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის წარმომადგენელს ორიოდ კვირის წინათ და მან მიპასუხა: რატომ უნდა ვეთამაშოთ?

**ენდი ნიკოლი:**

იმიტომ რომ თამაში განვითარდეს. ძალიან ცინიკურად გამომივა, მაგრამ კუნძულელი მოთამაშეები რომ მოვაშოროთ, ვისაც წლების განმავლობაში ახალ ზელანდიაში უთამაშია...

ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ ყინული დაიძრა. როდესაც ასეთი ლეგენდარული პიროვნებები დაინტერესებულნი არიან საქართველოს ნაკრებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე მოსაზრებები რაგბის საერთაშორისო საბჭოშიც მუსირებს.

ახლახან, აშშ-ის ნაკრების თავკაცმა **მაიკ ტოლკინმა** Twitter-ის საკუთარ გვერდზე გამოთქვა მოსაზრება ექვსი ერის მეორე დივიზიონის შექმნასთან დაკავშირებით. მოკლედ, არსებობს რამდენიმე ვარიანტი, როგორ მოხერხდეს ელიტური და მეორე დონის სარაგბო ქვეყნების დაახლოება. რამდენად სერიოზულადაა IRB ამით დაინტერესებული, სავარაუდოდ, 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების დასრულების შემდეგ გამოჩნდება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებების დაპირისპირება ლისაბონში, თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**საქართველო:** 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. გიორგი შკინინი, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. ლევან ჩილაჩავა, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. ჯაბა ბრეგვაძე, 17. ზურაბ ჟვანია, 18. ანტონ ფეიქრიშვილი, 19. გიორგი ნემსაძე, 20. შალვა სუთიაშვილი, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. ლაშა მალაღურაძე, 23. ბექა ნიკლაური.

**პორტუგალია**

ჟოაო კორეია, ჟორჟე სეგურადო, რუი დორეი, ლუის სალემა, ვაშკუ უვა, პედრო ლეალი, მიგელ ლეალი, ფრანსისო ტავარეში, ლუის პორტელა, მანი რაპოსო, ანტონიო აგილარი (ყველა-დირეიტო), ფრანსისკო ფერნანდესი (ბეზიე), ტონი მარტინსი (ლიმოჟი), მაიკ ტაჯერი (მასი), ემანუელ რებელო (დიჟონი), ჟოზე ლიმა, გონსალუ უვა (ორივე-ნარბონი), აურელიან ბეკო (კოლომიე), ჟაკ ლე რუ (ქოვენთრი), ერიკ დოს სანტუში, კევინ და კოშტა (ორივე-ბიარიცი), პედრო ბეტენკურტი, ფრანსისკუ მაგალიაეში, ნუნუ კოშტა, გონსალუ ფორუ, ბრუნო მედეიროსი, სებასტიან ვილაქსი, კარლ მურეი, ჟოაო ალმეიდა, ფრანსისკო აპელტონი (ყველა-კდუპი), ფრანსისკო დომინგეში, ფერნანდო ალმეიდა (ორივე-აგრონომია), ბრუნო როჩა (კოიმბრა), დიოგო მირანდა (ბელენენსეში).

**ერთა თასი**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +35 | 5 |
| 2. რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +24 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +3 | 4 |
| 4. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -3 | 1 |
| 5. პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | -24 | 0 |
| 6. ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | -35 | 0 |

**მსოფლიოს თასის შესარჩევი**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 6 | 5 | 1 | 0 | +109 | 24 |
| 2. რუმინეთი | 6 | 5 | 1 | 0 | +73 | 23 |
| 3. რუსეთი | 6 | 4 | 0 | 2 | -3 | 18 |
| 4. პორტუგალია | 6 | 1 | 1 | 4 | -45 | 7 |
| 5. ესპანეთი | 6 | 0 | 2 | 4 | -60 | 6 |
| 6. ბელგია | 6 | 0 | 1 | 5 | -74 | 5 |

**II ტური**

**8 თებერვალი**

პორტუგალია-საქართველო
რუსეთი-რუმინეთი
ესპანეთი-ბელგია

ბესიკ ჯანგავაძე

## მილოცვა
## ნუგზარ გოგიბედაშვილს!



საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი და საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" დაბადების საიუბილეო 75 წელს ულოცავს სახელოვან ვეტერან ფალავანს თავისუფალ ჭიდაობაში, განეფოს (აზიის) თამაშების ჩემპიონს, სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულსა და პრიზიორს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საუკეთესო ადამიანური ღირსებებით შემკულ პიროვნებას, ცნობილ დასტაქარს **ნუგზარ გოგიბედაშვილს.**

სიმხნევეს და ჯანმრთელობით გახალისებულ დღეგრძელ სიცოცხლეს გისურვებთ, ჩვენო ნუგზარ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ტიმი ჯორდანის და მელოუნის გვერდით

დიდი სათამაშო დღე შედგა გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და რამდენიმე შეხვედრა მართლაც გამორჩეული იყო. მაგალითად, „კლიპერსისა“ და „მაიამის“ მატჩი შეიძლებოდა ჩატენვების კონკურსის ნაცვლად გამოეყენებინათ. ეს სათამაშო ელემენტი ამ მატჩში მრავლად იყო, განსაკუთრებით კი, რა თქმა უნდა, **ბლეიკ გრიფინი** გამოირჩეოდა, რომელმაც კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მარტო პირველ ნახევარში მის ანგარიშზე 22 ქულა იყო, მაგრამ მძიმე ფორვარდი ამაზე არ გაჩერდა და ჯამში 43 ქულას მოუყარა თავი, რასაც 15 მოხსნა და 6 შედეგიანი პასი დაუმატა. გარდა ამისა, სირენასთან ახლოს მისმა ზუსტმა სამქულიანმა „კლიპერსს“ მატჩის გადარჩენის თეორიული შანსი დაუტოვა, მაგრამ იქვე **კრის ბოშმა** ერთი საჯარიმო გამოიყენა და მოქმედი ჩემპიონების უპირატესობა ოთხ ქულამდე გაზარდა. იმის გათვალისწინებით, რომ მატჩის დასრულებამდე 9 წამი რჩებოდა და **დოკ რივერსს** ტაიმ-აუტი აღარ ჰქონდა, გამარჯვებულის საკითხი გარკვეული იყო.

■ ■ ■

„მინესოტა“ თითქოს განწირული იყო „ოკლაჰომასთან“ დაპირისპირებაში, რადგან „მგლებს“ წინა ხაზზე არ ჰყავდათ **ლავი, პეკოვიჩი** და **ბრიუერი**. მაგრამ სტუმრებმა სამი მეოთხედი თანაბრად იბრძოლეს დასავლეთი კონფერენციის ლიდერთან. ყველაფერი მესამე და მეოთხე მეოთხედების მიჯნაზე გადაწყდა, როცა **ფიშერისა** და **ლემბის** სამქულიანებით დაიწყო „თანდერის“ 16:4 გაქცევა. **დურანტმა** და კომპანიამ მოგება ხელიდან არ გაუშვა და „ოკლაჰომა“ გახდა პირველი გუნდი სეზონში, ვინც 40 გამარჯვება მოიპოვა. ცნობისთვის, წინა ხუთ სეზონში ის გუნდი, რომელიც პირველი მიდიოდა ამ ნიშნულამდე, ჩემპიონი ვერ ხდებოდა.

■ ■ ■

„ლეიკერსმა“, როგორც იქნა, შეწყვიტა შვიდმატჩიანი წაგებათა სერია. კალიფორნიელებმა მარტო იმის გამო დაიმსახურეს „კლივლენდთან“ გამარჯვება, რომ პირველ ტაიმში 70 (!) ქულა დააგროვეს, თან ერთ მატჩში ზუსტი სამქულიანების რაოდენობით (18) საკლუბო რეკორდი დაამყარეს. გარდა ამისა, **სტივ ბლეიკმა** სამმაგი დუბლი ჩაიწერა აქტივში. რაც შეეხება „კავალიერსს“, მან პირველ ტაიმში 18-დან ერთი სამქულიანი ჩააგდო, მთლიანად მატჩში - 33-დან - 5.

■ ■ ■

**ტიმ დანკანმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი კალათბურთელია. „ვაშინგტონის“ წინააღმდეგ ვეტერანმა 40 წუთი ითამაშა, რომლის დროსაც 31 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა. NBA-ის ისტორიაში 37 წელს გადაცილებულ მოთამაშეებს შორის, მხოლოდ **ჯორდანსა** და **მელოუნს** დაუგროვებიათ მინიმუმ 30 ქულა, 10 მოხსნა და 5 პასი.

მაგრამ ტიმმა მეორე ოვერტაიმის დასაწყისში ექვსი პერსონალურის გამო დატოვა მოედანი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **პარკერმა** მხოლოდ პირველ ტაიმში ითამაშა, ხოლო **ჯინობილი** და **ლეონარდი** ლაზარეთში არიან, „სან ანტონიო“ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. და მაინც, პარტნიორებმა ტიმი არ დაალალატეს - ბოლო სამ წუთში „ვაშინგტონმა“ მხოლოდ ერთი ქულა დააგროვა და ტეხასელებმა 8:1 გაქცევით დაასრულეს მატჩი.

**ვაშინგტ.-სან ანტონიო 118:125 (2ო)**

33:25, 29:23, 21:34, 16:17, 16:16, 3:10

ვ: უოლი (29+9 პასი+4 ჩაჭრა), ბილი (19), არიზა (15+10 მოხსნა), ნენე (12), გორტატი (11), ბუკერი (10), უებსტერი (10).

ს-ა: დანკანი (31+11 მოხსნა), მილზი (23), გრინი (22), ბელინელი (14), სპლიტერი (7+12 მოხსნა).

**ნიუ იორკი-პორტლენდი 90:94**

23:26, 23:21, 22:30, 22:17

ნ-ი: ენტონი (26), სმიტი (18), სტაუდმაიერი (15), ჰარდუეი (12).

პ: ბატუმი (20+10 მოხსნა), მეტიუზი (18), ოლდრიჯი (15+12 მოხსნა), ლილარდი (12), უილიამსი (10).

**ჰიუსტონი-ფინიქსი 122:108**

35:30, 31:33, 29:27, 27:18

ჰ: ჰოვარდი (34+14 მოხსნა), ჰარდენი (23), პარსონსი (19), ჯონსი (19), ლინი (11).

ფ: დრაგიჩი (23+8 პასი), ტაკერი (13), გრინი (13), ბარბოზა (13), მარკიფ მორისი (12), მარკუს მორისი (11).

**მემფისი-დალასი 96:110**

26:21, 29:31, 17:26, 24:32

მ: რენდოლფი (25), ლი (22), ჯონსონი (17+4 დაფარება), კალატესი (16), გასოლი (12).

დ: ნოვიცკი (26), რაიტი (17), დალემბერი (14+10 მოხსნა), ელისი (14), კარტერი (13).

**ნ. ორლეანი-ატლანტა 105:100**

28:24, 19:27, 24:24, 34:25

ნ-ო: დევისი (27+10 მოხსნა), რობერტსი (19), გორდონი (18), მოროუ (16).

ა: მილსეპი (26+10 მოხსნა), კეროლი (22), სკოტი (16), ტიგი (11+13 პასი), უილიამსი (11).

**ოკლაჰომა-მინესოტა 106:97**

26:25, 30:29, 24:23, 26:20

ო: დურანტი (26), ჯექსონი (20+9 პასი), იბაკა (14), ფიშერი (13), სეფოლოშა (12), პერკინსი (6+12 მოხსნა).

მ: რუბიო (19), კანინგემი (18), ბარეა (11).

**ორლანდო-დეტროიტი 112:98**

26:26, 31:17, 31:31, 24:24

ო: ოლადიპო (20), დევისი (18), აფლალო (15), ჰარკლესი (15), ვუჩევიჩი (14), ნელსონი (7+11 პასი).

დ: სმიტი (25+12 მოხსნა), დრამონდი (15+14 მოხსნა), ჯენინგსი (15+10 პასი), სტაკი (14), მონრო (12), სინგლერი (11).

**დენვერი-მილუოკი 110:100**

30:24, 21:28, 33:20, 26:28

დ: ჩენდლერი (24), ფოიე (20+4 დაფარება), ჰიქსონი (19+10 მოხსნა), ლოუსონი (18+13 პასი), ფარიდი (10), მილერი (10).

მ: მიდლტონი (25), სანდერსი (25+15 მოხსნა), ნაითი (16+8 პასი), ფაჭულია (15), ილიასოვა (8+11 მოხსნა).

**საკრამენტო-ტორონტო 109:101**

30:23, 37:29, 25:20, 17:29

ს: კაზინსი (25+10 მოხსნა), გეი (24+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), ტომასი (23), ტორნტონი (12), ტომპსონი (9+10 მოხსნა)

ტ: ლოური (21+8 პასი), დეროზანი (18), პატერსონი (14), ვალანჩუნასი (12+11 მოხსნა), ნოვაკი (12).

**კლიპერსი-მაიამი 112:116**

24:36, 31:26, 20:27, 37:27

კ: გრიფინი (43+15 მოხსნა), კროუფორდი (31), ჯორდანი (16+16 მოხსნა), ბარნსი (12).

მ: ჯეიმსი (31+12 პასი), ბოში (15), ალენი (15), უეიდი (14+8 პასი), ბატიე (14), ანდერსენი (12), ჩელმერსი (10).



დანკანი გაძევებას არ ეთანხმება

**კლივლენდი-ლეიკერსი 108:119**

17:36, 32:34, 31:28, 28:21

კ: მაილზი (27), ვარეჟაო (15+13 მოხსნა), ბენეტი (14), ტომპსონი (13), ირვინგი (11+4 ჩაჭრა).

ლ: კელი (26), ფარმარი (21+8 პასი), ჯონსონი (20), კამანი (13), მარშალი (12), ბლეიკი (11+15 პასი+10 მოხსნა), საკრე (10).

**ფილადელფია-ბოსტონი 108:114**

23:34, 24:22, 35:32, 26:26

ფ: იანგი (20), როტენი (18), ჰოიესი (13+14 მოხსნა), ტერნერი (12), კარტერ-უილიამსი (11), ანდერსონი (11), ალენი (10+10 მოხსნა).

ბ: გრინი (36), სალინჯერი (19+10 მოხსნა+4 დაფარება), ბასი (18), ბრედლი (14), ბეილესი (11), რონდო (8+11 პასი).

## ამბები

**კალათბურთი**

### საფრანგეთი მზად არის

საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციამ FIBA-ევროპას 2015 წლის ევრობასკეტის ჩატარება შესთავაზა იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა მზად არ იქნება ტურნირის მასპინძლობისთვის. ადრე, საფრანგეთი პრეტენზიას აცხადებდა ევროპის ჩემპიონატის ორგანიზებაზე, მაგრამ შემდეგ FIBA-დან განაცხადი გაიტანა.

*„FIBA-ევროპას არ უთხოვია ჩვენთვის უკრაინის შეცვლა. ადრე თხოვნით მივმართეთ ამ ქვეყანას, რომ ევრობასკეტი ერთობლივად ჩაეტარებინა ჩვენთან ან გერმანიასთან, მაგრამ მათ დაგვარწმუნეს, რომ თავად მოახერხებდნენ ყველაფერს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსება იყოს უზრუნველყოფილი“*, - ამბობს საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ჟან-პიერ სიუტი**.

ამ განცხადებამდე ერთი დღით ადრე, FIBA უკრაინას ევრობასკეტის წართმევით დაემუქრა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამო. თუმცა უკრაინის კალათბურთის ფედერაციამ უარყო ეს განცხადება და გამოაცხადა, რომ პრესამ არასწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია.

### ვინ ჩატენის ოლ სტარზე?

როგორც გამოცემა Sports Illustrated იტყობინება, „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე“ ჩატენვების კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ: „პორტლენდისა“ და „ვაშინგტონის“ გამთამაშებლები - **დამიენ ლილარდი** და **ჯონ უოლი**, „ინდიანას“ ფორვარდი **პოლ ჯორჯი** და აგრეთვე, შარშანდელი კონკურსის გამარჯვებული, „ტორონტოს“ მცველი **ტერენს როსი**.

ჯორჯმა, რომელიც გულშემატკივრებმა აღმოსავლეთის ნაკრების სასტარტო ხუთეულში აირჩიეს, ადრე უარი განაცხადა ჩატენვების კონკურსში მონაწილეობაზე, მაგრამ ახლა, ლიგის ხელმძღვანელები ყველანაირად ცდილობენ ინდიანელის დაყოლიებას.

### ნიქსიდან ვუდსონს გაუშვებენ

„ნიუ იორკ ნიქსის“ მთავარი მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** გადაყენების პირასაა, - ირწმუნება Yahoo! Sports. „ნიქსის“ ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა გუნდის სატურნირო მდგომარეობით და მწვრთნელის შეცვლის გადაწყვეტილება, შესაძლოა, უკვე თებერვლის დასაწყისში, „ყველა ვარსკვლავის უქმეების“ შემდეგ მიიღოს.

ამ მომენტისთვის „ნიუ იორკი“ მე-10 ადგილზეა აღმოსავლეთ კონფერენციაში. მის ანგარიშზე მხოლოდ 19 მოგებაა 49 მატჩში.

**ჩოგბურთი**

### აზარენკას უარი დოჰას

ბელარუსი ჩოგბურთელი **ვიქტორია აზარენკა** ვერ შეძლებს კატარის დედაქალაქ დოჰაში შარშანდელი ტიტულის დაცვას. როგორც ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი წერს, მსოფლიოს მეორე ჩოგანი ფეხის ტრავმის გამო არ ჩავა დოჰაში.

აზარენკა დოჰას ტურნირის ორგზის ჩემპიონია. პირველად მან იქ 2012 წელს გაიმარჯვა, როცა ფინალში ავსტრალიელ **სამანტა სტოსურს** მოუგო - 6:1, 6:2. ერთი წლის შემდეგ კი ვიქტორიამ ტიტული დაიცვა. ამჯერად, გადამწყვეტ მატჩში მან ამერიკელი **სერენა უილიამსი** დაამარცხა - 7:6(6), 2:6, 6:2.

წელს დოჰას ტურნირი 10-16 თებერვალს ჩატარდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| კიდერმინსტერი-კემბრიჯი | გადაიდო |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ჰელსინგბორგი-ოდენსე | 1:0 |
| ოდ გრენლანდი-სანდეფიორდი | 2:1 |
| გიოტებორგი-დინამო (ბ) | 0:2 |
| სტრიომსგოდსეტი-ასტრა | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ვიქტორია (კ)-გლადბახი II | 2:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| უტრეხტი-ცვოლე | 1:2 |
| აიაქსი-გრონინგენი | 2:1 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| რიუ ავე-აკადემიკა | 1:0 |
| ბრაგა-ავეში | 1:1 ძ.დ. |
| **საბერძნეთი** | |
| პანაიტოლიკოსი-არისი | 0:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| შივასი-ბურსა | 1:2 |
| **კვიპროსი** | |
| აპოლონი-ეთნიკოსი | 0:1 |
| ერსიმი-ენოსისი | 3:2 |
| **ხორვატია** | |
| ისტრა-დინამო (ზ) | 1:3 |
| **ვენესუელა** | |
| ელ ვიხია-ანსოატეგი | 0:2 |

**ფუტსალი**

| | |
|---|---|
| **ევრო 2014** | |
| **1/2 ფინალი** | |
| პორტუგალია-იტალია | 3:4 |
| რუსეთი-ესპანეთი | 3:3 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ესპანეთის თასი** | |
| რეალი-გრან კანარია | 83:60 |
| უნიკახა-სარაგოსა | 74:79 |
| **საბერძნეთი** | |
| აპოლონი-პაოკ | 77:81 |
| ტრიკალასი-ილისიაკოსი | 88:87 |
| პანელეფსინიაკოსი-იკაროსი | 71:60 |
| აენეა-პანიონიოსი | 64:60 |
| **თურქეთის თასი** | |
| გალათასარაი-თოფასი | 68:56 |
| ბეშიქთაში-ეფესი | 59:76 |

**ხელბურთი**

| | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ვისლა-დუნკერკი | 32:25 |

**ფრენბურთი**

| | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| პიაჩენცა-ზენიტი | 0:3 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **ნორვეგია** | |
| სტიერნენი-სტორჰამარი | გადაიდო |
| ფრისკ ასკერი-რუსენბორგი | 4:1 |
| სპარტა-ტონსბერგი | 9:0 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-კერპეტი | 1:3 |
| საიპა-იოკერიტი | 2:4 |
| ჰიფკ-ბლუზი | 0:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ზლინი | 2:5 |
| ლიტვინოვი-სპარტა | 3:2 (ბ) |
| კარლოვი ვარი-ტრშინეცი | 2:6 |
| კლადნო-პლზენი | 0:1 |
| პარდუბიცე-ხომუტოვი | 4:2 |
| ბრნო-კრალოვე | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-აიკ | 3:2 (ო) |
| ლულეა-ლეკსანდი | 3:2 (ო) |
| მოდო-ფრიოლუნდა | 1:2 |
| ფერიესტადი-ლინჩოპინგი | 2:4 |
| ჰვ 71-ვექსიო | 2:1 |
| შელეფტეო-ორებრო | 4:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მონპელიე** | |
| ისტომინი-ტურსუნოვი | 7:5, 6:4 |
| ნიემინენი-ჰერბერტი | 7:6, 7:6 |
| სიმონი-ჟიკელი | 6:7, 3:6 |
| დავიდენკო-ოლივეტი | 6:7, 7:6, 5:7 |
| მონფილსი-სოუზა | 6:3, 6:2 |
| როჟე ვასელენი-ბრაუნი | 6:3, 6:4 |
| გასკე-მატიო | 6:1, 6:3 |
| იანოვიჩი-მანარინო | 7:6, 6:3 |
| **ATP. ვინა დელ მარი** | |
| ალმაგრო-ალუნდი | 4:6, 6:3, 6:4 |
| დელ ბონისი-დანიელი | 6:1, 6:7, 6:7 |
| სებალიოსი-ხიმენო ტრავერი | 2:6, 4:6 |
| შარდი-კარენო | 6:3, 7:6 |
| **ATP. ზაგრები** | |
| სელა-ლაჩკო | 6:3, 6:2 |
| ფაუ-იუჟნი | 4:6, 7:5, 6:1 |
| ბერერი-ევანსი | 6:1, 1:6, 6:7 |
| კოლშრაიბერი-გოლუბევი | 6:4, 6:2 |
| კარლოვიჩი-დოდიგი | 6:7, 3:6 |
| კუზნეცოვი-სისლინგი | 1:6, 6:3, 7:6 |
| ჰაასი-ბეკერი | 4:6, 6:3, 6:3 |

## TV პროგრამა

**7 თებერვალი. პარასკევი**

**I არხი**

20:00 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. გახსნის ცერემონია. სოჭი. რუსეთი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტური. აიაქსი-გრონინგენი
12:00 ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-ბაიერნი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. ჰანოვერი-ბორუსია (მ).
16:00 ჩემპიონთა ლიგა. შახტარი-სოსიედადი.
18:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. ბაიერნი-აინტრახტი.
19:00 ჩემპიონთა ლიგა. რეალი-გალათასარაი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 სპორტი ქუსლებზე.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ბორუსია (მ)-ლევერკუზენი (LIVE).
01:30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შტუტგარტი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. ოლიმპიაკოსი-ფენერბახჩე.
14:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. კამბური-ეინდჰოვენი.
